# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს


ალია

№192 /3122/ 30 დეკემბერი ფასი 1 ლარი

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE


## „ალიას“ შემდეგი ნომერი გამოვა 6 იანვარს

# საქართველოში ახალი რევოლუციის სიო დაქრის

**სისხლის სამართლის დამნაშავეს, პარლამენტის თავმჯდომარე მისალოც ბარათს უგზავნის, პრემიერ-მინისტრი კი ბეჯითად აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ხალხის მტერია**



„რესპუბლიკელებს“ არ უნდათ, რომ თავად დატოვონ კოალიცია და უნდათ, წარმოაჩინონ „ქართული ოცნება“ ძალად, რომელიც ვითომ ემიჯნება პროევროპულ ძალებს და ასე მოიქცა ალასანია და მისი პარტია, და ამ ჟესტით, თავად „რესპუბლიკურმა“ პარტიამ და, პირადად, უსუფაშვილმა სხვა გზა არ დაუტოვა ღარიბაშვილს, რომ მიიღოს მკაცრი გადაწყვეტილება ამ პარტიის მიმართ“

კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ყველაზე საშიში მტერი შიგნით ჰყავს, ისევე, როგორც შევარდნაძეს ჰყავდა „მოქალაქეთა კავშირში“ ე.წ. რეფორმატორები, რომლებმაც დაამხვეს მთავრობა... ღარიბაშვილს შიდა ბრძოლაში ზურგს ივანიშვილი უმაგრებს

## ვინ აიძულა უსუფაშვილს სააკაშვილისთვის მისალოცის გაგზავნა?

## გია ხუხაშვილი: „2015 წელს საქართველოში მწვავე სამთავრობო კრიზისი დადგება!“

**რით ასაბუთებს ექსპერტი მოსალოდნელ კრიზისს**

## „აიდი“ ბარათის აღება სავალდებულო აღარ იქნება?



## უკრაინაში საომრად წასულ ქართველ მებრძოლებს 4-დან 6 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ

**რა წერია სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე მუხლში**

## ყვითელი ავტობუსების კონტროლიორები გაფიცვით იმუქრებიან



## რას აპირებს საინიციატივო ჯგუფი თუკი „პანორამა თბილისის“ მშენებლობა დაიწყება?

## ენგურის ხიდიდან გატაცებული შსს-ს თანამშრომლის საქმის დეტალები




საოკუპაციო ხაზიდან გატაცებული განსაკუთრებულ დავალებათა მეორე სამმართველოს უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პაატა თოდუას გასათავისუფლებლად მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მას უშუალოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი აწარმოებს.

38 წლის პაატა თოდუა სოფელ რუხში, ენგურის ხიდის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს. აფხაზური მილიციის შეიარაღებული პირები ენგურის ხიდზე თითქმის შუამდე იყვნენ გადმოსული, მათ თან ახლდათ რუსი კონტრდაზვერვის თანამშრომელი ალექსანდრე კოლაგინი. სწორედ ამ დროს მოხდა პაატა თოდუას გატაცებაც. თოდუას ოჯახს შვილის გათავისუფლებაში დახმარებას დაჰპირდნენ განსაკუთრებულ დავალებათა მეორე სამმართველოს უფროსი ბადურ შენგელია და მხარის გუბერნატორი. ოჯახი ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს. როგორც „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის" ზუგდიდის ოფისის წარმომადგენლები აცხადებენ, ბადურ შენგელია მხარის გუბერნატორის დეიდაშვილია და სწორედ მათ არ სურთ ამ საქმის გახმაურება და ზედმეტი აჟიოტაჟი.

შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის, შალვა ენუქიძის თქმით, თოდუა ენგურის ხიდთან ოჩამჩირეში მცხოვრებ მამასთან შესახვედრად იმყოფებოდა, რომელსაც შვილისთვის საახალწლო ნობათი უნდა გადმოეცა.

„მისი დაკავება მოხდა ე.წ. აფხაზეთის ძალოვანი სტრუქტურების მიერ თითქოსდა ე.წ. საოკუპაციო ხაზის უკანონო გადაკვეთისთვის. დაგვიდასტურეს, რომ ნამდვილად მოხდა დაკავება, ხოლო ადგილსამყოფელთან დაკავშირებით, ჯერჯერობით ინფორმაციას არ ვფლობთ. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა ეს ადამიანი გალის წინასწარი დაკავების იზოლატორშია თუ სოხუმში გადაიყვანეს, ამ დროისთვის უცნობია. ამ ეტაპზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ცხელი ხაზის მეშვეობით მიმდინარეობს ინფორმაციის დაზუსტება, თუ სად იმყოფება ამ მომენტისთვის", – აცხადებს ენუქიძე.

ის არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ პაატა თოდუა სპეცრაზმელია. „აღნიშნული პიროვნება არის შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის რიგითი, სატვირთო მანქანის, „კამაზის" მძღოლი, ის არ არის სპეცრაზმელი და არც არანაირი საბრძოლო მომზადება არ აქვს გავლილი", – აცხადებს ენუქიძე. (ნიუპოსტი)

## შვილიშვილმა მძინარე ბაბუას პირში „ხლაპუშკა" აუფეთქა



ბ. იაშვილის სახელობის თერმული დაზიანებისა და პლასტიკური ქირურგიის ცენტრის ხელმძღვანელის გუგა ქაშიბაძის განცხადებით:

„ბაბუას, რომელსაც ტელევიზორის ყურების დროს ჩაეძინა და პირით სუნთქავდა, პატარა შვილიშვილი მიეპარა და საახალწლო ასაფეთქებელი მოწყობილობა პირის ღრუში აუფეთქა. შედეგად მოხუცმა ენის დამწვრობა მიიღო".

დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელი მოსახლეობას აფრთხილებს, რომ მეტი ყურადღებით მოეკიდონ საახალწლო პიროტექნიკის გამოყენებას, რათა თავიდან აიცილონ ზედმეტი პრობლემები. (ნიუპოსტი)

## „საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა"



ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, 2014 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები უკვე გადაჭარბებით შესრულდა.

„სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 45 მლნ ლარი შეადგინა. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები უკვე გადაჭარბებით შესრულდა. მიმდინარე წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით წლის გეგმასთან (6 მლრდ. 820 მლნ.) მიმართებაში გადაჭარბება შეადგენს 20 მილიონ ლარს. 100%-ით შესრულდა 2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებიც", – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## 4G-ის დასანერგად ლიცენზია 50 მილიონ 782 ათას ლარად გაიყიდა



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მეოთხე თაობის ფართოზოლოვანი (4G) მომსახურების დასანერგად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია 50 მილიონ 782 ათას 605 ლარად გაიყიდა, რომელიც შპს „მობიტელმა" აუქციონის წესით იყიდა. „მობიტელი" ბაზარზე კომპანია „ბილაინის" სახელითაა ცნობილი და მისი მფლობელები არიან ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიები: „ვოთერთრაილ ინდასტრიზ" (51 პროცენტი), „ინვესტიკო ალიანსე" (29 პროცენტი) და „მირენ ინვესტ" (20 პროცენტი). კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი ტყეშელაშვილია. „მობიტელი" ვალდებულია, ერთი თვის ვადაში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის საფასურის 20 პროცენტი საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ბიუჯეტში გადაიხადოს.

„მობიტელი" ასევე ვალდებულია 2016 წლის 1-ელ თებერვლამდე 4G-ის მომსახურება საქართველოს იმ დასახლებულ პუნქტებშიც დანერგოს, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 5 ათასზე ნაკლებია. ასევე, კომისიამ 25 დეკემბერს 4G-ის მომსახურების უზრუნველსაყოფად უკვე გაცემული და ოპერატორების დროებით მფლობელობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოდიფიცირების პროცესიც დაიწყო.

ლიცენზიების მოქმედების ვადა განისაზღვრება მომდევნო 15 წლით. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის 4G-ის მომსახურება უახლოვეს მომავალში იქნება ხელმისაწვდომი. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ქმედუუნარო სახელმწიფოების რიგში საქართველო 63-ე ადგილზეა



დამოუკიდებელმა სამეცნიერო-კვლევითმა ფონდმა „მშვიდობის ფონდი" 2014 წლის ქმედუუნარო სახელმწიფოების სია გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველო 63-ე ადგილზეა. ჩვენი ქვეყანა ამ მონაცემებში სენეგალსა და ბუტანს შორის მოხვდა. ამ სიაში რუსეთი 85-ე ადგილს იკავებს, უკრაინა – 113-ეს, სომხეთი – 104-ეს, აზერბაიჯანი 76-ზეა. ყველაზე სტაბილური ქვეყანა ჩამონათვალში ფინეთია, რომელიც სიის ბოლოში 178-ეა.

ფონდის მიერ წარმოდგენილი კვლევა ეყრდნობა 12 ინდიკატორს, მათ შორის: დემოგრაფიული ზეწოლა, ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები, დაძაბულობა საზოგადოებაში უკმაყოფილო ჯგუფების გამო, ადამიანთა ემიგრაცია, არათანაბარი ეკონომიკური განვითარება, სახელმწიფო ლეგიტიმურობა, საჯარო მომსახურება, ადამიანთა უფლებები და კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება, ელიტური/კლანური ჯგუფები, საგარეო ჩარევა. ამ მონაცემების ქულების ჯამი საქართველოს შემთხვევაში, მთლიანობაში, 82,7-ს შეადგენს. (ინტერპრესნიუსი)

## სტუდენტებმა ეკონომიკის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს



სტუდენტურმა მოძრაობამ „მწვანე მუშტი" ეკონომიკის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართა. როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, სწორედ ეკონომიკის სამინისტრომ უნდა აუკრძალოს „არემჯი გოლდს" საყდრისში სამუშაოების ჩატარება. ასეთი სამუშაოების ჩატარებისთვის ნებართვებს გასცემს ეკონომიკის სამინისტრო. თუმცა სამინისტროს „არემჯი გოლდისთვის" ნებართვა არ მიუცია და, შესაბამისად, ეს კომპანია საყდრისში უკანონოდ ახორციელებს მუშაობას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნგრევას.

„ეკონომიკის სამინისტროსგან მოვითხოვთ, რომ მან თავისი საზედამხედველო ფუნქციები გამოიყენოს, ამ კომპანიას აუკრძალოს სამუშაოების ჩატარება და დაუწესოს შესაბამისი სანქციები. სწორედ ეკონომიკის სამინისტროს უნიათობის გამო ხდება ის, რაც ხდება", – განაცხადეს აქციის მონაწილეებმა. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთმა „ისლამური სახელმწიფო" ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა




რუსეთმა „ისლამური სახელმწიფო" და „ჯაბჰათ ალ-ნუსრას" მებრძოლთა ჯგუფი ტერორისტულ ორგანიზაციებად ოფიციალურად აღიარა. აღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ მიიღო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ავსტრალიამ, კანადამ, ახალმა ზელანდიამ, საუდის არაბეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და თურქეთმა უკვე აღიარეს „ჯაბჰათ ალ-ნუსრა", როგორც ტერორისტული ორგანიზაცია. რაც შეეხება „ისლამურ სახელმწიფოს", ის ტერორისტულ ორგანიზაციად ოფიციალურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ევროკავშირის და სხვა ქვეყნებმა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებმა, ავსტრალიამ, საუდის არაბეთმა და ეგვიპტემ აღიარეს. (ფრონტნიუსი)

## უნარშეზღუდული ბავშვების პენსია საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება



2015 წლის სექტემბრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პენსია საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება. მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების ჩამორჩენის მქონე ბავშვებისთვის კი სპეციალური სერვისები შეიქმნება.

შშმპ სტატუსის მქონე 9 929 ბავშვს პენსია 50 ლარით გაეზრდება. 2015 წლის ზაფხულიდან აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის საპილოტე პროგრამაც ამოქმედდება, რომლის ფარგლებში, თბილისის მერია ყოველთვიურად 2-დან 15 წლამდე 200-მდე ბავშვის მომსახურებას დააფინანსებს.

ასევე, დაგეგმილია შინ მოვლის პროგრამის დაწყება მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების ჩამორჩენის მქონე ბავშვებისთვის. (kvira.ge)

## არასრულწლოვანს მანქანა დაეჯახა




ტყიბულში არასრულწლოვან ბიჭს ავტომანქანა დაეჯახა. ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი. მას ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებები არ აღენიშნება.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. (ნიუპოსტი)

# „ალია-ჰოლდინგს“ ულოცავენ შობა-ახალ წელს






































## „ალია-ჰოლდინგი“ მადლობას გიხდით მოლოცვისთვის!

**ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ წარმატებას!**

მას შემდეგ, რაც უკრაინაში ქართველი მეომარი გარდაიცვალა და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სამძიმართან ერთად სკანდალური განცხადებაც გაავრცელა, ანუ გამოხატა წუხილი მომხდართან დაკავშირებით და აქვე აღნიშნა, რომ ყოფილი ხელისუფლების წევრები მოუწოდებენ ჩვენს ჯარისკაცებს, უკრაინაში გასამრჯელოს სანაცვლოდ რუსეთის წინააღმდეგ იბრძოლონ, არა მხოლოდ „ნაციონალებმა“ ატეხეს ერთი ამბავი, არამედ საზოგადოების დიდმა ნაწილმაც და არასამთავრობო ორგანიზაციებმაც. ისობაში მოდის 1977 წელს მიღებულ ჟენევის კონვენციის 47-ე ოქმთან. რატომ დუმს ამაზე ხელისუფლება და რატომ არ იყენებს კანონს, რომლის წინაშეც ყველანი ერთნი ვართ? რატომ იმართლებენ თავს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და რატომ იხდიან ბოდიშებს დაუსრულებლად? როგორც იურისტი შალვა ხაჭაპურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ყურადღება უნდა მიგვექცია, როცა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბოლო პრესკონფერენციაზე თქვა, ჩვენი სპეცსამსახურები თვალს ადევნებენ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საინტერესო შენიშვნაა, ანუ განმარტებულია, ვინ ითვლება დაქირავებულად: დაქირავებულად ითვლება ის, ვინც არ არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც შეიარაღებული კონფლიქტია და მოქმედებს მატერიალური გასამრჯელოსთვის. როდესაც მიხეილ სააკაშვილი ქართველ სამხედროებს მოუწოდებდა (მე მგონი, ამ თემაზე ახლა ხმა ჩაიკმიდა), უკრაინაში ჩამოდით, აქ იბრძოლეთ, დიდი ხელფასები გექნებათო, მის წინააღმდეგაც უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია ამბობს „ალიასთან“ საუბარში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი მოქმედია. თუ რატომ არ იყენებს ამ კოზირს ხელისუფლება, ამ შეკითხვაზე ბესელია აცხადებს, რომ ვისაც ბრძოლაში მონაწილეობა დაუდასტურდება ყველა პასუხს აგებს. ამასობაში, 29 დეკემბერს „ნაციონალები“ ისე თავხედდებიან, რომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ქართველი მოხალისეების ოჯახებისთვის სოციალური გარანტიების

– ვინმეს გამართლება ან გამტყუნება არ არის პარლამენტის საქმე.

— **ზაქრო, მე ვამბობ, როცა დებატები გაქვთ „ნაციონალებთან, მაშინ უნდა ამოიღოთ ეს კანონი. ბოლოს და ბოლოს, კანონის წინაშე ხომ ყველანი ერთნი ვართ?**

– ამ კანონის უფლება უნდა მოითხოვოს არა პარლამენტმა, არამედ სხვა ძალოვანმა ორგანოებმა. აქ გარდა სამართლებრივისა, არსებობს მეორე მომენტი, პატრიოტიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა, როცა შენი ქვეყნის მტერს ეომები

# უკრაინაში საომრად წასულ ქართველ მებრძოლებს 4-დან 6 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ

## რა წერია სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე მუხლში



შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამ ქვეყანაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არც არავის უნახავს, არც არავის წაუკითხავს და არც არავის აინტერესებს, მათ შორის ხელისუფლებასაც. მაშინ, როცა თავდაცვის სამინისტროს ლამის მთელი დუნია მისდგა ჩასაქოლად, არავის გახსენებია ამ კოდექსის 410-ე მუხლი (დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში), სადაც გასაგებად წერია:

1. შეგროვება, გაწვრთნა, დაფინანსება ან სხვაგვარი მატერიალური უზრუნველყოფა დაქირავებულისა, აგრეთვე მისი გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 7 წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან არასრულწლოვნის მიმართ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 9-დან 13 წლამდე.

3. დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 6 წლამდე.

შენიშვნა: დაქირავებულად ითვლება ის, ვინც არ არის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე და მოქმედებს მატერიალური გასამრჯელოსთვის, მუდმივად არ ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აგრეთვე ის, ვინც გაგზავნილი არ არის ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად.

კანონი მიღებულია 2006 წლის 28 აპრილს (№2937) და სრულ შესაბამ-

ყველა ასეთ პიროვნებას, ყველა დაქირავებულს, ჩვენ არ შეგვიძლია, ადამიანებს გადაადგილება ავუკრძალოთ, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია გაგვაჩნიაო:

„როგორც ვიცი, პროკურატურა უკვე მუშაობს ამ საკითხებზე და არ გამოვრიცხავ, რომ სისხლის სამართლის საქმეც იყოს აღძრული. რაც შეეხება 410-ე მუხლს, ეს მართლაც არსებობს, მოქმედია და ხელისუფლება ამაზე რატომ არ ლაპარაკობს, არ ვიცი. ადამიანი, რომელიც გასულია ქვეყნიდან და მონაწილეობს სხვის ომში, ანუ არის დაქირავებული, მოქმედი კანონის მიხედვით, დაუყოვნებლივ უნდა დაისაჯოს, მის წინააღმდეგ სასწრაფოდ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ეს კანონი მიიღეს 2006 წელს, როცა „ნაციონალებს“ შეთქმულებისა და ახალი რევოლუციის შესახებ მოლანდებები დაეწყოთ. ალბათ, გახსოვს, ყველას რუსეთის ჯაშუშის იარლიყს ჰკიდებდნენ და აბრალებდნენ, სხვის დავალებებს ასრულებთ, დაქირავებულები ხართო. მაშინ ასე სჭირდებოდათ, მაგრამ ხომ უნდა აიღოს ეს კანონი ვინმემ და იგივე „ნაციონალებს“ აფაროს თვალებზე?“

საქმე იგივე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „შეგროვება, გაწვრთნა, დაფინანსება ან სხვაგვარი მატერიალური უზრუნველყოფა დაქირავებულისა, აგრეთვე მისი გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 7 წლამდე“.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: კანონში საუბარია იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე, სადაც მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტი. როგორც ვიცით, უკრაინაში ჩასული ქართველი მოხალისეებისთვის უკრაინის მოქალაქეობა არავის მიუნიჭებია. თუ მიანიჭეს, მაშინ მათ უნდა დათმონ საქართველოს მოქალაქეობა, რადგან არც პრეზიდენტ მარგველაშვილს მიუნიჭებია ორმაგი მოქალაქეობა. ამ მხრივ ვითომ მოხალისეებს ყველაფერი რიგზეც რომ ჰქონდეთ, მაინც უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, რადგან კანონში მითითებულია, რომ ისინი მუდმივად უნდა ცხოვრობდნენ უკრაინის ტერიტორიაზე. მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღევანდელ ხელისუფლებას რაღაცის ეშინია...

როგორც ადამიანის უფლებების შემოღებას ითხოვენ და მათი ინიციატივა პარლამენტმა უკვე დაარეგისტრირა. კანონპროექტის მიხედვით: „საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარანტიები იმ სამოქალაქო პირების, მოხალისეების ოჯახის წევრებზეც ვრცელდება, რომლებიც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდნენ“.

როგორც ხედავთ, აქ კანონპროექტი შეუსაბამობაში მოდის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან, ამ შემთხვევაში ან ერთი უნდა გაუქმდეს, ან მეორე. ამაზე პასუხი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ ან მისმა მოადგილემ, შალვა შავგულიძემ უნდა გაგვცეს, მაგრამ მათ ბოლო ორი დღეა ტელეფონები გამორთული აქვთ.

**თუმცა, როგორც ამავე კომიტეტის წევრი, ზაქარია ქუცნაშვილი ამბობს, ჩვენ აქ უნდა გავმიჯნოთ, ვინ არის უკრაინაში წასული პატრიოტული მოსაზრებებით, ანუ ვინ არის გულანთებული და ვინ არის წასული ფულის საკეთებლად:**

ყველგან, სადაც კი საომარია. ასე იბრძვიან გულანთებული ადამიანები.

— **ზაქრო, კანონში არ წერია, გულანთებული არ დაისჯებაო.**

– სიმართლე გითხრათ, არც ერთის გარკვევაა პარლამენტის საქმე და არც მეორე.

— **„ნაციონალებმა“ პარლამენტში შემოიტანეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ქართველი მოხალისეების ოჯახებისთვის უნდა დაწესდეს სოციალური გარანტიები. ამ შემთხვევაში ან კანონი უნდა გაუქმდეს, ან კიდევ ბეჟაშვილის კანონპროექტი.**

– თქვენი ანალიზი სწორია თავიდან ბოლომდე, ერთი მეორეს მართლაც გამორიცხავს. ამიტომ ჩვენ ყურადღებით გავეცნობით ამ ინიციატივას. თუ დავინახავთ, რომ იქ შიშველი პოპულიზმის გარდა არაფერია, დავფიქრდებით და არ მივიღებთ. რაკი „ნაციონალებმა“ რაღაც შემოიტანეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე მიღებულია. ჩემი პოზიცია ასეთია: ომი არ არის გამოსავალი და მე მივესალმები ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებას, როცა უკრაინას იარაღის მიწოდებაზე უარი უთხრა. ეს იქნებოდა კიდევ უფრო დიდი ომისკენ წაქეზება. როცა ამერიკა და ევროპა უარს აცხადებს იარაღის მიწოდებაზე, ამ შემთხვევაში ადამიანური რესურსის მიწოდება უარესია.

**ძალიან საინტერესო რამ თქვა ბატონმა ზაქარია ქუცნაშვილმა ბოლოს: მაშინ, როცა ამერიკა და ევროპა თავს იკავებს იარაღისა და ადამიანური რესურსის მიწოდებაზე, ჩვენ ვინ ვართ, რა გარანტიებზე ვლაპარაკობთ და რატომ არ ვიცავთ კანონს?!**

»» გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ბადაშვილმა ბაქიბუქს თავი დაანებოს“



საპარლამენტო უმცირესობის წევრი გივი თარგამაძე მიხეილ სააკაშვილის საერთაშორისო ძებნასთან დაკავშირებით მთავარი პროკურორის განცხადებას ეხმაურება.

„მარტივ რამეს გეტყვით, მოგეხსენებათ, რუსებმა მე დამსვეს წითელ ცირკულარზე და სააკაშვილის ერთი წერილის შედეგად, რეკორდულად მოკლე დროში, ხუთ დღეში ამ დევნისგან გავთავისუფლდი. ამიტომ ბადაშვილმა ისეთი საკბილო ეძებოს, რასაც მოერევა და თავის მოწონების მიზნით ბაქიბუქს შეუძლია შეეშვას“, – განაცხადა თარგამაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების სტატისტიკა



ორგანიზაცია IDFI მთავარი პროკურატურისგან გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ 2014 წელს ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი 19 მკვლელობის შემთხვევა ფიქსირდება.

„2009-2014 წლებში ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობათა ფაქტებზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების 45 შემთხვევა ფიქსირდება. საქართველოს პროკურატურიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, 2009-2014 წლებში ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების 45 შემთხვევიდან 16 შემთხვევა ფიქსირდება თბილისში, ხოლო დანარჩენი 29 შემთხვევა რეგიონებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით ზოგადად მკვლელობებზე დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის 2014 წლის 11 თვის მაჩვენებლები არ არის გამორჩეული განვლილ წლებთან შედარებით, თუმცა მნიშვნელოვნად გაზრდილია მასში ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების პროცენტული წილი.

IDFI-ის მიერ ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მოთხოვნილი იქნა, აგრეთვე, უშუალოდ მეუღლეთა შორის დაფიქსირებული შემთხვევებისა და მსხვერპლის სქესის დაკონკრეტებით, თუმცა, როგორც პროკურატურამ განმარტა, აღნიშნული ხასიათის სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება მათ მიერ არ ხორციელდება“, – ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (ნიუპოსტი)

2014 წლის 26 დეკემბერს, პოლიტიკურმა შიზოფრენიამ გამაოგნებელი რეკორდი მოხსნა, პარლამენტმა „გუგულის ბუდეს“ გადაუფრინა. ისინი ენას გვიყოფენ, გვისტვენენ, სასესიო დარბაზში მაგიდაზე შარვალჩახდილები დარბიან და ხელებს გვიბრახუნებენ, ერთმანეთს თავში მიკროფონებს უბრახუნებენ, პანჩურებს ურტყამენ, თავებს უბათქაშებენ, ერთმანეთის სისხლში ბანაობენ და მათ ჩვენი რჩეული საზოგადოება ჰქვია. „ნაციონალმა“ ბობოხიძემ კოლეგების თავზე უკვე მერამდენედ მოისაქმა. კოლექტიურ ბობოხიძეებს ვაფინანსებთ, კრიმინალებს დეპუტატის მანდატი მივეცით და მათ დანაშაულს – იმუნიტეტი. ბობოხიძემ ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი სცემა – შერჩა. „ნაციონალების“ პარლამენტში დეპუტატ პეტრე მამრაძეს თავს დაესხა პირდაპირ ეთერში და ესეც შერჩა. ამჯერად „ოცნების“ დედა მოიკითხა და აღმოაჩინა, რომ თურმე მათი დედა რუსეთია და ჩართულ მიკროფონში, გამოთქმით ჩასძახა, „თქვენ დედას შე...ცი!!!“ ორი წლის მანძილზე ხმაამოუღებელი ზვიადაური მფრინავი ბეჰემოტივით გადაშემოდგომიდან გაზაფხულის მოლოდინში ვცხოვრობთ. ერთხელაც მოვიდა 2012 წლის შემოდგომა, მაგრამ დღეს უკვე რიტორიკული კითხვაა აქტუალური, გაგვიმართლა მოლოდინმა? ღირდა კი ბრძოლა იმისთვის, რომ პარლამენტში მაგიდებზე ის ადამიანები შეგვეყარა, ვისთვისაც მორალი, ღირსება, პატიოსნება და წესიერება ისეთივე შორია, როგორც ცა და დედამიწა?

ამ ორმა წელმა დაგვანახა, რომ გადამწყვეტი ომი ბიძინა ივანიშვილს ჯერ არ მოუგია, მან ხალხს გიჟის თავისუფლება მისცა და ამიტომაც სახელმწიფო დიდ საგიჟეთს დაემსგავსა. ვიდრე მსოფლიო ზურგს არ შეგვაქცევს და სამუდამოდ არ დავსამარდებით, ახლა გადამწყვეტი ომი აქვს ივანიშვილს მოსაგები, ეს ნაგავი, რასაც პარლამენტი ჰქვია, უნდა გაიწმინდოს, სხვა შემთხვევაში, თავად ივანიშვილი აღმოჩნდება იმ ზოოპარკის მსხვერპლი, რასაც პარლამენტი ჰქვია.

გამაოგნებელია უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის განცხადება. თურმე მისი ინიციატივით შემდგარა ტაშ-ფანდური რესტო-



კოლექტიურ ბობოხიძეებს ვაფინანსებთ, კრიმინალებს დეპუტატის მანდატი მივეცით და მათ დანაშაულს — იმუნიტეტი. ბობოხიძემ ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი სცემა — შერჩა. „ნაციონალების“ პარლამენტში დეპუტატ პეტრე მამრაძეს თავს დაესხა პირდაპირ ეთერში და ესეც შერჩა. ამჯერად „ოცნების“ დედა მოიკითხა და აღმოაჩინა, რომ თურმე მათი დედა რუსეთია და ჩართულ მიკროფონში, გამოთქმით ჩასძახა, „თქვენ დედას შე...ცი!!!“

# საქართველოში ახალი რევოლუციის სიო დაქრის

## სისხლის სამართლის დამნაშავეს, პარლამენტის თავმჯდომარე მისალოც ბარათს უგზავნის, პრემიერ-მინისტრი კი ბეჯითად აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ხალხის მტერია

ეშვა და კაკოს უკანალით კაკალი ამტვრევინა. ჩვენ ამ პოლიტიკურ ცხოველებს მივეცით ხმა და ხელშეუხებლობის გარანტია, ვანდეთ ჩვენი მომავალი და ეს მომავალი ძალიან ბნელია.

რა საერთო გვაქვს ამ ხალხთან? ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვაკავშირებს მათთან, ვაფინანსებთ, რომ მხნედ იგინონ და მოსახლეობა „დაიკიდონ“! როგორ შეიძლება კრიმინალმა ხალხის ბედი გადაწყვიტოს? ეს შეუძლებელია და ამიტომაც კრიმინალს გვიკანონებენ კანონმდებლები, ძალადობას, აგრესიას, ვენდეტას და ამ ყველაფრის შემდეგ, ვინ მიგვიღებს ევროპაში? ცივილიზებული სამყარო დაგვცინის, ფსიქოპათებს ქვეყანა პოლიტიკური საიქიოსკენ მიჰყავთ, რას გადაგვეკიდეთ, ვინ ხართ?! გოგა ხაინდრავას დავესესხები და თქვენ, პოლიტიკურო ცხოველებო, შემოგძახებთ: „ავოიეეე, თქვენ ყველას შიგ ხომ არა გაქვთ?!.“ ამ პოლიტიკური ზოოპარკით ევროკავშირში არა, მაგრამ ზებრას უკანალში თავს ნამდვილად ამოყოფს ბევრი. შეუძლებელს ხდის პარლამენტის ეს შემადგენლობა ქვეყნის ნორმალურად განვითარებას.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2015 წლის გაზაფხული იქნება ძალიან მძიმე. ზოგადად ჩვენი ცხოვრების კალენდარი ორსეზონიანია, რან „ბაგრატიონში“ 27 დეკემბერს, ბიძინა ივანიშვილთან ერთად „ქართული ხმების“ თანხლებით ვიქეიფეთ, ვილადავეთ და შვიდ საათზე დავიშალეთო, რა გელადავ-გეკაიფებათ თქვე დალოცვილებო, ხალხი გულზე სკდება, ახალ წელს სიკვდილს ნატრობს, ქვეყანაში გამოცხადებული შიმშილია და თქვენ თუ იმ ცემა-ტყეპის შემდეგ, ქეიფისა და ლადაობის მუღამზე ხართ, მაშინ ფარსი ყოფილა ყველაფერი. ვისთვის დგამთ შოუს – „ბრძოლა წესების გარეშე“-ს? ვის დასანახად გორაობთ ტატამზე? ვის ებრძვით? დოქსოპულოებო, თქვენ დედა გყაავთ? ერთი ხელით სააკაშვილს დაეძებთ და მეორე ხელით საახალწლო მისალოცს უგზავნის პოლიტზოოპარკის დირექტორი დავით უსუფაშვილი. „ფეისბუკპატრულმა“ გოგა ხაჩიძემ გამოაქვეყნა სტატუსი: „დავით უსუფაშვილის მილოცვა მიხეილ სააკაშვილს, სწორი და კარგი ნაბიჯი...“ მოდი ახლა და არკვიე, ვისი პიანინო ვის როიალშია?!

პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწემ ბექა დავითულიანმა განაცხადა, მისალოცი ბარათი ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის ხელმძღვანელს დაეგზავნა, მათ შორის სააკაშვილსაც, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარესო. ავოეეე... თქვე მართლა ფარჩაკებო, თქვენა! სააკაშვილისთვის გაგზავნილ მისალოც ბარათს დაედევნეთ და ხელზე ემთხვიეთ, აქამდე კოჰაბიტაციას გვეთამაშებოდით, ახლა მოდაშია დაჭერობანას თამაში. პოლიტზოოპარკის დირექტორის ამოცანა „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა იყო, ახლა კი მისი ამოცანები, როგორც ჩანს, უფრო შორსმიმავალი გახდა და საარჩევნო სუბიექტის თავმჯდომარეს ახალ წელს ულოცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლოზუნგში განივთებული ოცნება – ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას წაგვართვეს და დღესაც ხელისუფლება ასამართლებს ხალხს! სისხლის სამართლის დამნაშავეს, პარლამენტის თავმჯდომარე მისალოც ბარათს უგზავნის, პრემიერ-მინისტრი კი ბეჯითად აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ხალხის მტერია. ამოცანა გვეკითხება, რა კონფიგურაციისთვის ემზადება „რესპუბლიკური“ პარტია?

პოლიტიკურ ბატუტზე მოხტუნავე პარტია, კვლავ ნახტომისთვის ემზადება, ისინი ადგილს იზომავენ და „ნაციონალებთან“ ხიდებს არ წვავენ, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ყველაზე საშიში მტერი შიგნით ჰყავს, ისევე, როგორც შევარდნაძეს ჰყავდა „მოქალაქეთა კავშირში“ ე.წ. რეფორმატორები, რომლებმაც დაამხვეს მთავრობა. მაშინაც ბრძოლა კონკრეტული ქვეყნების ინტერესებისთვის იყო და ხალხი ყველას ფეხებზე ეკიდა, დღესაც ე.წ ლიბერალების ეს ბრძოლა დასავლეთის ინტერესს ემსახურება და ხალხი ისევ აფსაიდშია, პროქართველობა ბერძენიშვილმა პრორუსულობასთან გაათანაბრა, საქართველოში ახალი რევოლუციის სიო დაქრის, ციხის შიგნიდან გატეხას ჩქარობს ლიბერალური ფრთა, ამიტომაც „რესპუბლიკელები“ გულმოდგინედ უთხრიან პოლიტიკურ სამარეს პროქართულ ძალას. ამ ძალასთან საკუთარ თავს პრემიერ-მინისტრი აიგივებს, ღარიბაშვილს შიდა ბრძოლაში ზურგს ივანიშვილი უმაგრებს. გაზაფხულზე ჩვენ დიდი პოლიტიკური კატაკლიზმების მომსწრენი გავხდებით, ექსპერტები არ გამორიცხავენ პოლიტიკურ ძალთა ხელახალ გადანაწილებას და ვადამდელ არჩევნებს, ამიტომაც შესაძლოა იმ პოლიტიკურ სამარეში ჩავარდნენ „ლიბერასტები“, რომელსაც „რესპუბლიკელები“ პრემიერ-მინისტრს ასე გულმოდგინედ უთხრიან.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ომბუდსმენი მთავარ პროკურორს მიმართავს



ომბუდსმენი მთავარ პროკურორს პოლიციელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით წინადადებით მიმართავს.

„საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მოქალაქე მ.ქ.-ს მიმართ პოლიციელების მიერ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მოქალაქე მ.ქ.-ს განმარტებით, ის 2014 წლის 1-ელ ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს, გადაიყვანეს გლდანის პოლიციის პირველ განყოფილებაში, სადაც სკამზე ხელბორკილებით მიაბეს და სცემეს. შსს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმისა და „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დაკავებულს აღენიშნებოდა დაზიანებები.

მოცემულ ფაქტზე, 2014 წლის 1-ელ ივლისს საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, თუმცა, აღნიშნული საქმე იმავე დღეს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილების საფუძველზე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელიც დღემდე აწარმოებს გამოძიებას.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის იმავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიების წარმოება ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭირო დამოუკიდებლობის ხარისხს და მიზანშეწონილად მიაჩნია, გამოძიება საქართველოს პროკურატურამ აწარმოოს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### წიწამურში ილიას ძეგლის რეკონსტრუქცია დასრულდა



სოფელ წიწამურში, ილია ჭავჭავაძის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. სამუშაოებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებდა. პროექტის ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა კვარცხლბეკს, მოხდა მისასვლელი კიბეების რეკონსტრუქცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. ფოტოებს სოციალური ქსელის მომხმარებლები ავრცელებენ.

შეგახსენებთ, ძეგლის რეაბილიტაცია 15 აგვისტოს დაიწყო. (news.ge)

### „ფეესბე“-ს თანამშრომლები აფხაზურ სოფლებში რეიდებს ატარებენ და ოჯახებიდან საკვები მიაქვთ

სოხუმის დეფაქტო ხელსუფლების გადაწვეტილებით გალის რაიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ 340-მდე მესაზღვრე, „ფეესბე"-ს და დაზვერვის თანამშრომლები რეიდს ატარებდნენ. მათ ყველა სოფელში შესასვლელ-გამოსასვლელი გადაკეტეს და მოსახლეობაში ქართული პასპორტების ამოღება დაიწყეს. ამოღებულია ასევე ის ტელეფონები, რომელთა მფლობელები ქართული მობილური ოპერატორებით სარგებლობენ.

რამდენიმე ისეთი შემთხვევაც დაფიქსირდა, როცა მოსახლეობიდან მათ საკვები პროდუქტები წაიღეს. გალის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ჯგერენაიების ოჯახიდან წაყვანილია ჭიშკართან მდგარი ხარი. ოჯახს დაუბარს, რომ ეს სოფლიდან რუსი ოკუპანტებისთვის საახალწლო საჩუქარი იყო. ამის შემდეგ გალის მაღალი ზონის სოფლებში ლეკუხონში, ღვაჟღვერდსა და საბერიოში მასიურად დაიწყეს ოჯახებიდან პროდეუქტების აკრეფა. ოკუპანტები სოფლებს ორი „უაზით“ და ერთი „ბეტეერით“ სტუმრობდნენ. (ნიუპოსტი)

# რას აპირებს საინიციატივო ჯგუფი თუკი „პანორამა თბილისის“ მშენებლობა დაიწყება?

29 დეკემბერს თბილისის საკრებულოში ხმაურით ჩატარდა გაფართოებული სხდომა, რომელსაც მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობის“ წარმომადგენლები დაესწრნენ. სხდომაზე განიხილავდნენ მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე რეკრეაციული ზონისთვის სტატუსის შეცვლას. ამ მოთხოვნით საკრებულოს პროექტ „პანორამა თბილისის“ წარმომადგენლებმა მიმართეს. პროექტის ფარგლებში ჩაფიქრებულია, რომ ქალაქის ცენტრალური და ისტორიული უბნები დაუკავშირდეს გამწვანებულ შემოგარენს საბაგირო გზებითა და დახრილი ლიფტებით. საუბარია სოლოლაკის მაღლობზე, სოლოლაკის ბაღებზე, თავისუფლების მოედანზე და ერეკლე მეორეს მოედანზე.

„პარტიზანული მებაღეობის“ წევრების თქმით, ლანდშაფტურ-რეკრეაციული სტატუსის მოხსნის შემთხვევაში, გაიჩეხება ხეები და ძალიან დიდი ლანდშაფტური ტერიტორია განადგურდება, „პანორამა თბილისის“ წარმომადგენლები კი ირწმუნებიან, რომ პროექტი ითვალისწინებს განაშენიანებას, ხოლო საფრთხეები, რაზეც პროექტის მოწინააღმდეგეები საუბრობენ, სიმართლეს არ შეესაბამება. დამტკიცდება თუ არა პროექტი, საკრებულოს მომდევნო სხდომაზე გადაწყდება.

**რა ხდებოდა საკრებულოს სხდომაზე? ვინ დგას „პანორამა თბილისის“ უკან? რას აპირებენ პროექტის მოწინააღმდეგეები, თუ საკრებულო მას მაინც დაამტკიცებს?**

**„ალიას“ ესაუბრა „პარტიზანული მებაღეობის“ ხელმძღვანელი, ნატა ფერაძე:**

– ხმაური ნამდვილად იყო საკრებულოში, პროექტის წინააღმდეგები იყვნენ ალეკო ელისაშვილი, ასევე, სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, რომ წინააღმდეგი იყო სევდია უგრეხელიძე და კიდევ რამდენიმე „ნაციონალი“. ეს ხალხი რომ პირველად მენახა, ვიფიქრებდი, ძალიან ნათელი ადამიანები არიან-მეთქი, ზუსტად ამ სიტყვებით რომ არ ებრძოლათ ჩვენთან ვაკის პარკის საკითხზე. სევდიამ ბოლოს უთხრა „პანორამის“ დამცველებს, ჩვენს შეცდომებს თქვენ ნუღარ გაიმეორებთო. ამ დროს ეს არის ერთპიროვნულად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, რასაც აღიარებენ ისინიც და ძალიან კარგი შენიშვნები მისცეს ქალაქმგეგმარებმა და აქტივისტებმა, რაც ავტორებმა საერთოდ არ გაითვალისწინეს. ეს ყველაფერი კეთდება ისე, როგორც უნდა ადგილის მფლობელს. ამ პროექტში იდება ერთ მილიარდამდე ინვესტიცია და ქალაქი ამიტომ ყველაფერზე წამსვლელია. არაა გათვლილი პროექტის მომგებლიანობა და აქ წაგება მეტი იქნება, ვიდრე მოგება.

**— რა იყო თქვენი ძირითადი მოთხოვნა?**

– ის, რომ შეჩერდეს საკითხის წინასაახალწლო პერიოდში განხილვა ფორსმაჟორულ რეჟიმში. ისე შეუცვალეს ამ შენობას სტატუსი, რომ გამოდის, მერიამაც კი არ უნდა დაამტკიცოს მისი აშენება, რადგანაც გადაიყვანეს მეხუთე კლასის მშენებლობაში და თურმე ის უნდა დაამტკიცოს ეკონომიკის სამინისტრომ. ჩვენ ვთხოვეთ საკრებულოს, რომ გადატანილი იქნას განხილვა და ნუ მიიღებენ სასწრაფოდ გადაწყვეტილებას. საკამათო მანდ ძალიან ბევრია და შეუძლებელია ამის ასე უცებ მიღება. ჩემი აზრით, ამ მშენებლობას ერთადერთი გააჩერებს ძალიან ბევრი ადამიანის გამოსვლა აქციაზე, ახლა კი ველოდებით შემდეგ დღეებს, როდის დაინიშნება კიდევ განხილვა. შემდეგ კენჭისყრაზე ამ ზონას რომ სტატუსი მოუხსნან, ეს იქნება ქალაქის დაღუპვა, რაზეც თითოეული არმოსული ჩვენგანი ვაგებთ პასუხს. ჩანს, რომ ბიძინა რასაც ეტყვის, იმას აკეთებენ.

**— მაშინ რა განსხვავებაა ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის?**

– მე არ მითქვამს, რომ რაიმე განსხვავებაა



**ეს ორი დღე მართლა გადამწყვეტია „პანორამის“ მშენებლობისთვის და მილიარდის წინაშე 50 ჩამობღენძილი კაცი ვიდექით, რომლებსაც გიჟების სტატუსს იოლად მოგვაკრავენ. სასოწარკვეთილი ვარ, რადგანაც ხალხის გასვლა იყო აუცილებელი და ხალხი არ გამოვიდა, რას იზამ, თუ კონცერტი არ დავახვედრე, არ მოდიან.**

უკეთესობისკენ. არანაირი განსხვავებაა არაა, უარესი თუ არ ხდება. საკრებულო გვაყვედრის, რომ სხდომაზე დაგვასწრო, ამ დროს სულ არ მინდა სხდომაზე დასწრება, თუ რაიმე არ გაითვალისწინეს, რა აზრი აქვს? „ნაციონალებმა“ მოსპეს და რაც გადარჩა, ისიც უნდა მოისპოს? ასეთი გრანდიოზული მშენებლობა მეტროს შემდეგ თბილისში არ ყოფილა და ეს იქნება დანგრევა მთელი ქალაქისა, ამ დროს გამოვლენ და მოსახლეობას ძალიან კარგად აუხსნიან თავისი პიარხრიკებით, რა გადასარევი პროექტია და ეტყვიან, რომ იქ იქნება აკვარიუმები და პლანეტარიუმი და, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვასწრებთ იმის გაკეთებას, რომ ეკონომისტებმა, ქალაქმგეგმარებმა და არქიტექტორებმა აუხსნან ადამიანებს, რამდენად დამღუპველია ეს პროექტი, რადგანაც ქალაქი აღარ გვექნება: ჩვენ თუ ქალაქის იერსახეს არ გავუფრთხილდებით, მაშინ აღარ ვართ შემდგარი ქვეყანა.

**— პროექტის წარდგენისას საუბარი იყო იმაზე, რომ ეს კარგი იქნება ტურისტისთვის, რომელიც დაათვალიერებს ქალაქს ზემოდან.**

– მე ამიხსნეს ქალაქმგეგმარებმა, როცა ვიკითხე, ეს პროექტი ქალაქს თუ განტვირთავს მანქანებისგან-მეთქი და მითხრეს, რომ საბაგირო არ არის არავითარი საშუალება განტვირთვის. გარდა ამისა, ძველი თბილისის თავზე გადაჭიმული საბაგირო სულ სხვა იმიჯია ქალაქისთვის, რადგანაც ეს არ არის ჭიათურა, არაა არც გუდაური და არც სხვა კურორტი, ესაა თბილისი. კოჯრის გზაზე სამ ჰექტარამდე მიწა უნდა იქნეს ათვისებული. ცოტა ხნის წინ ამ ადგილას, სადაც „პანორამა“ უნდა აშენდეს, გაიცა ნებართვა „ჯითიესის“ საწყობის მშენებლობაზე. უზარმაზარი რაოდენობის ხეებია მოჭრილი და გაოხრებულია, კლდეა აქ მოჭრილი და უკვე შემზადებულია ადგილი მშენებლობისთვის. ანუ, ხეები უკვე მოჭრეს და ქალაქის ლანდშაფტი მარტო ხე არ არის და ბუნებრივი მასივის ადგილას რომ შენ დგამ ამხელა კომპლექსს, რომელიც ემიჯნება ბოტანიკურ ბაღს და მთაწმინდას, რა ხდება?

**— დავუშვათ, რეკრეაციული ზონის სტატუსი მოიხსნა. რას აპირებთ?**

– გაიტანენ. ეს ორი დღე მართლა გადამწყვეტია „პანორამის“ მშენებლობისთვის და მილიარდის წინაშე 50 ჩამობღენძილი კაცი ვიდექით, რომლებსაც გიჟების სტატუსს იოლად მოგვაკრავენ. სასოწარკვეთილი ვარ, რადგანაც ხალხის გასვლა იყო აუცილებელი და ხალხი არ გამოვიდა, რას იზამ, თუ კონცერტი არ დავახვედრე, არ მოდიან. დაველოდოთ, ეგება განხილვა მაინც გადაიდოს.

**ალექსანდრე ელისაშვილი, საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი:**

– ინვესტორი, გასაგებია, რომ ივანიშვილია და 500 მილიონი იდება პროექტში, მაგრამ რატომ ამოიჩემა ეს ადგილი, სიმართლე გითხრა, არ ვიცი, ერეკლეს მოედანზეც უზარმაზარი რამ უნდა აშენდეს, რაც, ჩემი აზრით, ასევე მიზანშეწონილი არ არის და თავისუფლებაზეც ყოფილი „ცეკავშირის“ ადგილას. მარტო ქედის განაშენიანება რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ არც მაგის განაშენიანებაა მისაღები. რატომაც ვეწინააღმდეგები ამ პროექტს, ისაა, რომ ისტორიულად ჩამოყალიბდა, მტკვრის მარჯვენა სანაპირო უფროა განვითარებული, ვიდრე მარცხენა. ამ დროს მარცხენა სანაპიროზე რესურსი არსებობს, როგორც ტერიტორიული, ისე სივრცითი და თუ ქალაქს აქეთკენ განვავითარებთ, სწორედ ამ მხარეს უნდა წავიდეს განაშენიანება. ამ დროს ეს ამხელა პროექტი საშვილიშვილოა და „დააჯდება“ ზევიდან ისტორიულად ჩამოყალიბებულ ძველ თბილისს, როცა მარცხენა სანაპიროზე ახალ ურბანულ მიზიდულობას გააჩენდა და განავითარებდა დანარჩენ თბილისს. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დავარწმუნოთ ინვესტორი, რომ ასე არ მოიქცეს. არის პროექტები, რომლებიც სასწრაფოდ, ფართხა-ფურთხით გავაკეთეთ და მერე თავში ხელი ვირტყით, შედეგის გამო და არ შეიძლება, საფუძვლიანად განვიხილოთ, სანამ დავიწყებდეთ შენებას? სამი დღის წინ ურბანულ კომისიაზე ეს საკითხი უცებ შემოვიდა, რომ შეიცვალოს ლანდშაფტური ზონა, თბილისის უნიკალურობა კი არის სწორედ ლანდშაფტი, რასაც კანონი იცავს, რითაც გამოირჩევა და რითაც ძალიან მაგარია ჩვენი ქალაქი, ესაა სოლოლაკისა და თაბორის ქედი, იქით - არსენალის მთა, ეს ქმნის ქალაქის სახეს, ამიტომაა სპეციალური კანონი გამოცემული ლანდშაფტის დაცვისა და ჩვენ კი გვინდა, ამ კანონის არეალიდან გამოვიყვანოთ ეს ზონა, რაც მიუღებელია. ადრე როგორ ხდებოდა? კონკრეტული ინვესტორის სურვილს ერგებოდა ქალაქის ინტერესი, ახლაც ასეა და ამ დროს პირიქით უნდა იყოს. დაველოდოთ, ამ დღეებში გამოჩნდება ყველაფერი. თუ საკრებულო ამ ზონებს არ შეუცვლის სტატუსს, მაშინ ვიტყვი, რომ განხილვა ნაყოფიერი იყო, მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სტატუსის გაუქმებას, ჩავთვლი, რომ ეს ხალხის მოტყუებაა და მეტი არაფერი.

**— და რა ბერკეტს ხედავთ ამის ხელისშემშლელს?**

– რაც შეეხება ხელისშემშლელ ბერკეტს, ბერკეტი ხალხშია და მერე, ეტყობა, ყველა ყალყზე უნდა დავდგეთ, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბურჯანაძე 2014 წელს აფასებს



„დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე 2014 წელს საგარეო და შიდა პოლიტიკურ ნაბიჯებს წარუმატებელს უწოდებს.

„ეს იყო წარუმატებლობისა და შანსის ხელიდან გაშვების წელი. 2014 წლის შეცდომებს მომავალ წელს უფრო ვიგრძნობთ. სამწუხაროდ, ხელისუფლება ნაცრის ქექვითაა დაკავებული და ეს ძალიან ცუდია. ჩვენ გავუშვით ხელიდან მნიშვნელოვანი მომენტები, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის აუცილებელი იყო.

ჩვენ მივიღეთ ის ხელისუფლება, სადაც წარმოდგენილნი არიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც მოსახლეობის მინიმალურ მხარდაჭერასაც არ იმსახურებდნენ და უკეთეს შემთხვევაში 5%-იან ბარიერსაც ვერ ლახავდნენ. დღეს ჩვენ ეს ძალები ჭკუას გვასწავლიან. გვეუბნებიან, რომ ქართული საქმე რუსული საქმე ყოფილა. გვეუბნებიან, რომ საქართველოს სახელმწიფო ინტერესი რუსეთის ინტერესი ყოფილა. ივანიშვილის წყალობით კი მივიღეთ პარლამენტი, სადაც ხელისუფლებას რეალური უმრავლესობა უბრალოდ არ ჰყავს და ხელისუფლება მხოლოდ ფულზე და გარიგებაზეა დამოკიდებული“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პეტრიაშვილი „დელტაკომისა“ და შსს-ს კავშირის ახალ დეტალებს ასაჯაროებს



„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, „დელტაკომი“ ასეულ ათასობით ლარის სანაცვლოდ ემსახურება შინაგან საქმეთა სამინისტროს. მისი ინფორმაციით:

„დელტაკომის“ და მისი შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელ რგოლში არის ზურაბ კოტარია, რომელიც ვანო მერაბიშვილის შინაგან მინისტრობის პერიოდში იყო „ოტუ“-ს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. „ოტუ“ დაკავშირებული იყო უკანონო მოსმენებთან. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, „დელტაკომის“ შვილობილი კომპანიის „დელტა ტვ“-ის დირექტორი არის ზურაბ კოტარია. ჩვენი ინფორმაციით, „დელტაკომის“ მფლობელი არის პაატა ქიქოძე, ხოლო „დელტა ტვ“-ის მფლობელი – მისი ძმა. როგორც იცით, შსს-ს ადვოკატებისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია, რა საფასურად ემსახურება დელტაკომი შინაგან საქმეთა სამინისტროს“, – აცხადებს პეტრიაშვილი.

„ჩვენი ინფორმაციით, „დელტაკომი“ ყოველთვიურად ამ მომსახურებაში ასეულ ათასობით ლარს იღებდა. სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ „დელტაკომის“ შეთავაზება იყო უფრო ძვირადღირებული, ვიდრე „სილქნეტის“. მთელი ეს სქემა მიმართული იყო ირაკლი ალასანიას პოლიტიკური საქმიანობის წინააღმდეგ. სახეზეა სამწუხარო მემკვიდრეობა, რომელიც წილად ხვდა ხელისუფლებას „ნაციონალური მოძრაობისგან“, – განაცხადა პეტრიაშვილმა. (ნიუპოსტი)

# რისთვის სჭირდება ეკა ბესელიას წამების შემთხვევების შეჯამება?



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ბოლო ორი წლის განმავლობაში მომხდარი წამების, არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების შეჯამებისა და გაანალიზების საჭიროებას ხედავს. მისი თქმით, ამის გაკეთებას კომიტეტი სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციის გზით აპირებს. ამ კონტექსტში დეპუტატმა ყურადღება მთავარ პროკურატურაზე გაამახვილა და როგორც აღნიშნა, საბოლოოდ, ყველა ასეთ შემთხვევაზე ინფორმაცია თავს პროკურატურაში იყრის.

**„ალიას“ ეკა ბესელია ესაუბრა:**

**— რა არის ამ შეჯამების მიზანი, კანონს გაამკაცრებთ თუ პრევენციისთვის გჭირდებათ?**

– ძალიან მნიშვნელოვანია წამების მსხვერპლთა იდენტიფიცირება და მათი რეაბილიტაცია. ამაზე ერთად ვიმუშავებთ მომავალ წელს. ჩვენ გავაძლიერებთ საპარლამენტო კონტროლს და ეს გაზრდის მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დინამიკა უკვე გამოჩნდა დადებითი, დიდი პროგრესია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ჩვენ ამით არ ვკმაყოფილდებით და მეტის გაკეთებას ვაპირებთ მომავალ წელს და ამაში უპირველესად მართლმსაჯულების, პროკურატურის, შსს-სა და სასჯელაღსრულების რეფორმა იგულისხმება.

**— კომიტეტი სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციის გზით აპირებს ამას, ეს როგორ გესახებათ და როცა ინფორმაცია პროკურატურაში მოიყრის თავს, მერე რა მოხდება? რა შედეგი დადგება?**

– ყველა შესაბამის უწყებასთან ერთად ვიმუშავებთ, რომ სამართლებრივი მექანიზმი შეიქმნას. ეს იქნება შედეგის მომტანი. ჩვენ გვქონდა კარგი თანამშრომლობა ყველა უწყებასთან და ვაპირებთ ამ კუთხით გაზირებას, რომ თითოეულ დარღვევაზე რეაგირება იყოს თანაზომადი და მოქალაქეები დაცულად იგრძნობდნენ თავს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საზოგადოება „ივერია“ პროკურატურას მიმართავს




საზოგადოება „ივერია“ პროკურატურას სპეციალური განცხადებით მიმართავს. „ივერიის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რუსულენოვანი მაუწყებლები ქართულ ინტერესებს ეწინააღმდეგებიან და ოკუპანტის ინტერესებს ატარებენ.

„გამოძიებულ იქნას რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიების საქმიანობა საქართველოში, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციულ იარაღს და არა თავისუფალ მედიას, გათვლილია საზოგადოების დემორალიზაციაზე და რუსეთის ძირგამომთხრელი მიზნების საქართველოში განხორციელებაზე“. – განაცხადა მოძრაობა „ივერიას“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ნიკა რურუამ.

„ივერიის“ დამფუძნებლის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, „24 საათის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვებებში და სპეციალურ რეპორტაჟებში, არის დაუფარავი ზიზღი საქართველოს, უკრაინისა და სხვათა სუვერენიტეტის მიმართ, არის მოწოდებები ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის განადგურების“. – აცხადებს ვაშაძე. (ნიუპოსტი)

## იტალიაში ქართველ კანონიერ ქურდს ესროლეს



კანონიერ ქურდებს შორის გაჩაღებული ომი რუსეთის ფარგლებს გასცდა. იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში ქართველ „კანონიერ ქურდს“ გიორგი ბურდულს თავს დაესხნენ. გავრცელებული ინფორმაციით, 26 წლის „გიგა დიდუბსკის“ სნაიპერმა მაშინ ესროლა, როდესაც ის საკუთარ სახლში კომპიუტერთან იჯდა. ბურდულმა უმძიმესი ჭრილობა თავის არეში მიიღო და საავადმყოფოში, კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება, მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

რუსულ მედიის ინფორმაციით ბურდული „კანონიერ ქურდად“ საბერძნეთში, ერთი წლის წინათ აკურთხეს, მას შემდეგ რაც მან თბილისის საპატიმრო დაწესებულება დატოვა.

ბურდულზე თავდასხმა შესაძლოა, კრიმინალურ კლანებს შორის გაჩაღებული ომის გაგრძელება იყოს. როგორც ცნობილია „გიგა დიდუბსკი“ საბერძნეთში „მოღვაწე“ კრიმინალურ კლანთან ასოცირდება, რომელსაც ამჟამად აქტიური კონფლიქტი აქვს რუსულ კლანთან. primecrime.ru-ს ინფორმაციით, „გიგა დიდუბსკის“ კანონიერ ქურდად კურთხევა ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის, ვაჟა ბიგანიშვილის ხელდასხმით მოხდა და იგი მერაბ ჯანგველაძის კლანში მოიაზრება, რომელსაც ამჟამად აქტიური კონფლიქტი აქვს რუსეთში მოქმედ ე.წ „ჰასანის“ კლანთან.

გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი ბურდულის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ბოლო წლებში იტალიის საპორტო ქალაქი ნეაპოლია, სადაც ის მეუღლესთან და რამდენიმე „კანონიერ ქურდთან“ ერთად იმყოფება. (ნიუპოსტი)




## ჯანდაცვის წლის პროექტი საყოველთაო დაზღვევაა

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს თქმით, გასულ წელს მისი უწყების ყველაზე წარმატებული პროექტი საყოველთაო დაზღვევა იყო.

ასევე დავით სერგეენკომ გამოყო სოფლის ექიმების, ორსულთა, მზრუნველობა მოკლებულ ბავშთა, ასევე „ცე“ ჰეპატიტის პროგრამები და ფასდაკლება ძვირად ღირებულ მედიკამენტზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის განცხადებით, რკინიგზაში დასაქმებულთა დისკრიმინაცია გრძელდება




მათი განცხადებით, „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს და გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, დამატებით 50%-იანი პრემია ცალკეულ 600-ზე მეტ დასაქმებულზე გაიცა, რომლებიც გაფიცვაში არ მონაწილეობდნენ და გაფიცულ რკინიგზელებზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენდნენ. მათივე ცნობით, საახალწლო პრემია არ მიეცა იმ დასაქმებულებს, რომლებიც რკინიგზაში 2014 წლის ოქტომბრიდან მუშაობენ.

პროფესიული კავშირის შეფასებით, რკინიგზის ადმინისტრაციის აღნიშნული ქმედება დისკრიმინაციულია და რკინიგზელებში უარყოფით ურთიერთობებს აღვივებს, რისი მაგალითიც რკინიგზის რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულში დაფიქსირდა.

„გარდა ამისა, ამ დრომდე არ სრულდება გაფიცვის შემდგომი შეთანხმების ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი პუნქტი, რომელიც დავების მომწესრიგებელი კომისიის შექმნას ეხება და რომელიც იმუშავებს გაფიცვამდე, გაფიცვის დროს და გაფიცვის შემდგომ რკინიგზის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მიერ გაფიცულთა მიმართ ზეწოლის განხორციელების, დევნის შევიწროვების ფაქტების (დათხოვნა, დაქვეითება, ფინანსური სანქციების გატარება და სხვა დისციპლინარული სასჯელის ფორმა) შესწავლასა და აღმოფხვრაზე. საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი რამდენიმე დღეში, შესაბამისი დოკუმენტაციის სრულყოფის შემდეგ, მიმართავს სასამართლოს აღნიშნულ დისკრიმინაციულ ფაქტებთან დაკავშირებით და მოითხოვს გაიცეს ყველა დასაქმებულზე იმდენივე ოდენობის პრემია, რამდენიც ცალკეულ დასაქმებულ რკინიგზელებზე გაიცა“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა




ბათუმში, ღამის კლუბ „ლეგასში“ 22 წლის პოლიციის თანამშრომელის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ რამაზ დევაძეს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით მამისეიშვილის გადაწყვეტილებით, წინასწარ პატიმრობაში რჩება ასევე, ღამის კლუბში დევაძესთან ერთად მყოფი, ხულიგნობის ბრალდებით დაკავებული ბესიკ მამულაძე.

ორივე ბრალდებული წარსულში ნასამართლევია, დევაძე ხულიგნობისთვის, ხოლო მამულაძე გამოძალვისთვის. ბრალდებულების ადვოკატები დევაძისთვის 2 000 ლარიანი გირაოს შეფარდებას, ხოლო მამულაძისთვის 5 000 ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდნენ. მოსამართლემ დაცვის მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებულის ადვოკატის, პაატა შავაძის განმარტებით, რამაზ დევაძემ დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩაიდინა და ეს არ იყო განზრახ მკვლელობა. ადვოკატის მტკიცებით, ღამის კლუბში მყოფ დევაძეს იარაღი არ ჰქონია.

„გავრცელებული ხმები, თითქოს საკონტროლო გასროლით მოხდა რამაზ დევაძის მხრიდან პოლიციელის მკვლელობა, სინამდვილეს არ შეესაბამება და არც წარმოდგენილი მტკიცებულებებით მსგავსი სისასტიკე არ დგინდება. პატივი უნდა ვცეთ უდანაშაულობის პრეზუმპციას და დაველოდოთ სამართლიან ვერდიქტს“, – აღნიშნა შავაძემ.

სასამართლო სხდომაზე პროკურორმა რამაზ შავაძემ განაცხადა, რომ ღამის კლუბში ინციდენტი მდედრობითი სქესის წარმომადგენლების გამო დაიწყო. პროკურორის მტკიცებით, ხულიგნობაში ბრალდებულმა მამულაძემ ბარში მყოფ ქალებს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება მოსთხოვა. პროკურორი აცხადებს, რომ პოლიციის თანამშრომელი თარაშ მუკბანიანი მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს გამოესარჩლა, რის გამოც დაიწყო ხელჩართული ჩხუბი და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, თავის არეში სროლით ის მოკლეს.

შსს-ს ინფორმაციით, 27 დეკემბერს, ღამის საათებში, ბათუმში, ერთ-ერთ კლუბში, ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით თავის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს მეშვიდე განყოფილების უმცროს ინსპექტორს, 1992 წელს დაბადებულ თარაშ მუკბანიანს, რომელიც შემთხვევის დროს სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა. მათივე ცნობით, თარაშ მ. მიყენებული ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო რამაზ დ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.. (ინტერპრესნიუსი)

## „არემჯის“ თანამშრომლები მერვე დღეა შიმშილობენ



კომპანია „არემჯის" თანამშრომლები მერვე დღეა შიმშილობენ. ისინი კომპანიისთვის ლიცენზიის გაგრძელებას ითხოვენ. მათი თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურის გარეშე რჩებიან.

მათთან დაბა კაზრეთის მცხოვრებლებიც მივიდნენ. მოგვიანებით კი მოშიმშილეები ბოლნისის რაიონის გამგებელმა გოგი მეშველიანმა მოინახულა. (ნიუპოსტი)

## პატიმრობიდან 7 არასრულწლოვანი გათავისუფლდა




პირობით ვადამდე 7 არასრულწლოვანი გათავისუფლდა. სასჯელაღსრულების სამინისტროს ცნობით, სხდომას პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთა განმხილველი ადგილობრივი საბჭოს წევრებთან ერთად, არასრულწლოვანთა ადვოკატებიც დაესწრნენ.

„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აქტიურად მუშაობს, რათა პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დამყარებული იყოს სამართლიანობის პრინციპზე, რაც გულისხმობს უპირატესობის მინიჭებას სწორედ იმ მსჯავრდებულთათვის, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ სარეჟიმო მოთხოვნების დაცვით, გამოირჩეოდნენ ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებში აქტიური ჩართულობით და გაცნობიერებული აქვთ ჩადენილი დანაშაულის შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობა“, – აცხადებენ სამინისტროში.

მათი ცნობით, აღნიშნული 7 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისას, ადგილობრივმა საბჭომ სწორედ ამ პრინციპით იხელმძღვანელა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# ვინ აიძულა უსუფაშვილს სააკაშვილისთვის მისალოცის გაგზავნა?

„ბატონ მიხეილ სააკაშვილს, „ერთიანი ნაციონალური პარტიის თავმჯდომარეს!“

გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ახალ 2015 წელს! დაე, ეს ახალი წელი იყოს წარმატებული და სიკეთის მომტანი თქვენთვის, თქვენი ოჯახისა და მთლიანად საქართველოსთვის. საუკეთესო სურვილებით დავით უსუფაშვილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე“.

ესაა ის მილოცვა, რამაც მთლიანად საქართველო გადარია და გააგიჟა.

რა მოხდა? რის გამო მიულოცა უსუფაშვილმა ყოფილ პრეზიდენტს დღესასწაული და რას ნიშნავს მისი ეს პოლიტიკური დემარში?

**„ალიას“ ესაუბრება უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ნიკოლოზ მჟავანაძე:**

**— ის, რაც ჩვენ ვიხილეთ, როცა ახალ წელს ულოცავ?**

– შეიძლება, უსუფაშვილმა უბრალოდ ადამიანობა გამოიჩინა, პატივი სცა პრეზიდენტობის ინსტიტუტს და როგორც ყოფილ პრეზიდენტს, ისე მოულოცა? თუმცა ბარათზე წერია, „ნაციონალური პარტიის თავმჯდომარესო“.

**— ეს რომ ყოფილიყო ყოფილი პრეზიდენტის მიმართ მილოცვა, მაშინ რატომ არ მოულოცა უსუფაშვილმა შევარდნაძის ოჯახსა და თუნდაც გამსახურდიას ოჯახს? არ არის ეს სულში ჩაფურთხება იმ ცხრაწლიანი რეჟიმით გაწამებული ხალხისთვის? არ არის ხელისუფლებისთვისაც სილის გაწნა? ეს იგივეა, როცა ალასანიამ პრესკონფერენცია ჩაატარა და ღია დაპირისპირება გამოუცხადა ღარიბაშვილს და სხვა გზა არ დაუტოვა ირაკლის, გარდა მისი გადაყენებისა? ფაქტობრივად, ამ წერილით ირაკლი ღარიბაშვილი ჩადგა იმ სიტუაციაში, რომ ის იძულებულია, კოალიციის მიღმა დატოვოს ეს ხალხი, ან ვადამდელი**

მან აიღო ვითომ ევროპაში ჯანმრთელობის გაუარესების გამო წასასვლელად, ეს იყო იმ შიდა გარჩევების გაგრძელება. მას უთხრეს ბერძენიშვილებმა პირდაპირ, რომ, თუ პარტიაში დარჩენა უნდოდა, უნდა გაატაროს ის ხაზი, რასაც ატარებენ ისინი და დღეს, სამწუხაროდ, პარტიაში სწორედ ბერძენიშვილები მართავენ სიტუაციას და არა უსუფაშვილი. ეს არის პირდაპირი დაპირისპირება, „რესპუბლიკელებს“ არ უნდათ, რომ თავად დატოვონ კოალიცია და უნდათ, წარმოაჩინონ „ქართული ოცნება“ ძალად, რომელიც ვითომ ემიჯნება პროევროპულ ძალებს და ასე მოიქცა ალასანია და მისი პარტია, და ამ ჟესტით, თავად „რესპუბლიკურმა“ პარტიამ და, პირადად, უსუფაშვილმა სხვა გზა არ დაუტოვა ღარიბაშვილს, რომ მიიღოს მკაცრი გადაწყვეტილება ამ პარტიის მიმართ. თუ უსუფაშვილი ეწინააღმდეგებოდა სააკაშვილის ძებნას, მას შეეძლო

დავით უსუფაშვილმა შობა-ახალი წელი მიულოცა სააკაშვილს და ეს, ცხადია, არ ჩაივლიდა ისე, რომ საზოგადოებას არ გაეგო. ესაა ღია დაპირისპირების გამოცხადება „ქართული ოცნებისა“ და, პირადად, ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. წარმოიდგინეთ, პიროვნებას, რომელსაც წაყენებული აქვს უმძიმესი ბრალი და მასზე გამოცხადებულია საერთაშორისო ძებნა, შენ, პარლამენტის თავმჯდომარე,

**არჩევნები დანიშნოს, რადგანაც სისხლის სამართლის დამნაშავეს პარლამენტის პირველი პირი დღესასწაულებს ულოცავს და წარმატებას რომ უსურვებს, ესაა საქმე?**

ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ „რესპუბლიკურ პარტიაში“ მოხდა შიდა გარჩევა, სადაც მონაწილეობდნენ ბერძენიშვილები და ისინი ღიად დაუპირისპირდნენ უსუფაშვილს, რადგანაც ის მხარს არ უბამდა მათ განცხადებებს და ის ტაიმ-აუტი, რაც

აქამდე ეთქვა ეს. არა, ახლა, როცა კოალიციაში მძვინვარებს დაპირისპირებები, ახლა ეს საქციელი უკვე ღია კონფრონტაციის დაწყებაა კოალიციის მიმართ. ამ დროს თავადაც ხომაა იურისტი, თან კარგი იურისტი? რა, არ იცის, ეს ჟესტი რას ნიშნავს? მარგველაშვილი არ მივიდა და გამარჯობაც არ უთქვამს სააკაშვილისთვის, ტყუილად მოიქცა ასე? დამნაშავესთან მარგველაშვილმაც არ გამოამჟღავნა ელემენტარული დიპლომატია და არ მიესალმა იმიტომ, რომ მიშა სააკაშვილს მთელი საქართველო ეძებს და უსუფაშვილის მოქცევა რა იყო?

**ამის შემდეგ ვიცით რა, რომ დავით ბერძენიშვილი „ალიას“ არ ელაპარაკება, ვცადეთ, დავკავშირებოდით უფროს ლევან ბერძენიშვილს, რომელმაც ჩვენს ზარს არ უპასუხა. მივწერეთ მესიჯი, სადაც ვწერდით ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებაზე, რომ „რესპუბლიკურ“ პარტიაში მოხდა შიდა გარჩევა, სადაც მონაწილეობდნენ ბერძენიშვილები და ისინი ღიად დაუპირისპირდნენ უსუფაშვილს, და რომ მათი ზეწოლის გამო დაიწერა მისალოცი ბარათი სააკაშვილის მისამართით და რომ ესაა ღია კონფრონტაციის დასაწყისი, მაგრამ ლევან ბერძენიშვილმა არც მესიჯს და არც ჩვენს შემდგომ ზარს არ უპასუხა.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „აჭარაბეთთან“ ნაპოვნი ჩამომხრჩვალი მამაკაცი თავდაცვის უწყების თანამშრომელია



28 დეკემბერს გამთენიისას სლოტკლუბ „აჭარაბეთის“ თანამშრომლებმა 20 წლის მამაკაცი ჩამომხრჩვალი იპოვეს. მამაკაცი იმ ადგილას ნახეს სადაც, გასათამაშებელი მანქანებია განთავსებული. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ყაზბეგის რაიონიდანაა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა.

ამის შესახებ უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს I კლასის რიგითის, დათო გიას ძე გელაშვილის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს. დათო გელაშვილი (დაბადებული 1994 წლის 11 აპრილს) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2012 წლის 18 დეკემბრიდან ირიცხებოდა. იგი საკონტრაქტო სამსახურს IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე მექანიზირებულ ბატალიონში ასრულებდა. გარდაცვალების დღეს ის დათხოვნაში იმყოფებოდა.

საქმეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფი იძიებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პრეზიდენტის ინიციატივით, საახალწლოდ დახმარება 1530 ადამიანმა მიიღო



საქართველოს პრეზიდენტი პირველ ლედისთან ერთად „კათარზისს“ ეწვია, სადაც თავშესაფარში მცხოვრები ხანდაზმულები მოინახულა. გიორგი მარგველაშვილი და მაკა ჩიჩუა თავშესაფრის ბინადრებს პირადად გაესაუბრნენ და დამდეგი დღესასწაული მიულოცეს. მოხუცებმა პრეზიდენტისგან საახალწლო საჩუქრის სახით ფულადი დახმარებაც მიიღეს.

ქვეყნის პირველი პირის ინიციატივით, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხა, რომელიც ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გადანაწილდა ხანდაზმულებზე, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ოჯახურ მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ ბავშვებზე. დახმარება მიიღეს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საპატრიარქოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოხუცებულთა თავშესაფრების მცხოვრებლებმა, ბერი ანდრიას ფონდის სიმსივნით დაავადებული ბავშვების თავშესაფარმა და საპატრიარქოს მეფე თამარის პანსიონმა.

პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის საფუძველზე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონ 71 ათასი ლარი გამოიყო. მარგველაშვილი სულ 1530 ადამიანს დაეხმარა, რომელთაგან 411 მოხუცებული და შშმ პირია, 349 მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელი, 424 ოჯახთან რეინტეგრაციის პროცესში და 206 ნათესაობით მინდობით აღზრდაში მყოფი პირი, ასევე 31 ბავშვი ბერი ანდრიას თავშესაფარში და 109 ბავშვი სკოლა-პანსიონში. თითოეულ ადამიანზე გამოიყო 700 ლარი, რომელიც უმეტესობას პირად ანგარიშზე ჩაერიცხება სოციალური სააგენტოს მეშვეობით, ხოლო საოჯახო ტიპის სახლების, ანდრიას ფონდისა და მეფე თამარის პანსიონის აღსაზრდელებისთვის თანხები ჩაერიცხებათ დაწესებულებებს, რომლებიც შემდგომში ამ თანხებს ბავშვებს გაუნაწილებენ. ჯამური დახმარება შეადგენს 973 000 ლარს სოციალური სააგენტოს ხაზით და 98 000 ლარის საპატრიარქოს ხაზით. (ნიუპოსტი)

## ბათუმის ციხეს ახალი დირექტორი ჰყავს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ბათუმის №3 ციხის დირექტორის პოსტზე კახა გველესიანი წარადგინა. მას იმედი აქვს, რომ გველესიანი წარმატებით გაართმევს თავს, რადგან ის ბოლოს მუშაობდა №2 დაწესებულებაში დირექტორის მოადგილედ და საკმარისი გამოცდილება დაუგროვდა ახალი მოვალეობის შესასრულებლად.

წარდგენას ესწრებოდა ბათუმის ციხის ყოფილი უფროსი ალექსანდრე პეტროსიანი, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ ციხეს ხელმძღვანელობდა. ჯერჯერობით უცნობია, ის სად დასაქმდება. (ნიუპოსტი)

# „აიდი“ ბარათის აღება სავალდებულო აღარ იქნება?

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ალტერნატიული პირადობის მოწმობების დაშვების საკითხი განიხილეს. კომიტეტს 100 000 ხელმოწერა წარედგინა, რომლითაც ხელმომწერნი „აიდი“ ბარათის ალტერნატიული პირადობის მოწმობის შემოღებას ითხოვენ.

**რა ხდებოდა სხდომაზე? რა შედეგით დასრულდა განხილვა?**

**„ალიას“ ზაზა ნანობაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო ზაზა, სხდომა რა შედეგით დასრულდა?**

– ეს სხდომა იყო შემაჯამებელი. პროცესი ბევრად ადრე, 2010 წელს დაიწყო, როგორც კი პროექტი გამოვიდა, 6 თვეში უნდა გაუქმებულიყო საზღვარგარეთის პასპორტები და ამას მოჰყვა „აიდი“ ბარათები. 2011 წლის გაზაფხულიდან დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება, მუდმივ რეჟიმში მიდიოდა, მინისტრ ადეიშვილის დროსაც, როგორც კი იცვლებოდა ხელმძღვანელობა, იმ დროიდან ხდებოდა განახლება ამ ხელმოწერების. ამის განხილვას კომიტეტი არ ჩქარობდა და ახლა მოხერხდა. გელა სალუაშვილის, მოსამართლეების პროექტებიც არსებობს ამ „აიდი“ ბარათის ალტერნატივის შესახებ, მაგრამ ძირითადი ბირთვი ჩვენ ვიყავით. ჩვენ მთავრობასთან პოლემიკაში არ შევდივართ და არ ვურჩევთ მათ რელიგიური კუთხით ამ საკითხს, ისევე, როგორც იელოველს არავინ ეუბნება მიზეზს, რატომ არიან სისხლის გადასხმის წინააღმდეგნი. ამ მოთხოვნაში ძირითადი არის ის, რომ ადამიანის უფლებები ილახება და რელიგიური სინდისის შეზღუდვა ხდება. ამაზე უამრავი მაგალითი ჩამოვთვალეთ და მივაწოდეთ კომიტეტს.



**— ვინ იყო მომხრე და ვინ — წინააღმდეგი?**

– ეს უნდა ყოფილიყო მხოლოდ ჩვენთან შეხვედრა და ხომ იცით ქართველის ამბავი, ამ საკითხზე ყველა ინიციატივის შემტანი მიგვიწვიეს. ჩვენი მოთხოვნაა, არ დამახინჯდეს ინიციატივა და არ გვინდა ელექტრონული ბარათი. შეხვედრაზე საუბრობდნენ, რომ სხვადასხვა სახის საბუთი შეიძლება დაარქვან, მაგრამ შეიცავდეს იგივე მონაცემებს და იყოს ბიომეტრიული. სხდომას ესწრებოდა გია ვოლსკიც და დასრულდა იმით, რომ კომიტეტი იშუამდგომლებს მთავრობის წინაშე იმ მოტივით, რომ ირღვევა 100 000 ადამიანის უფლება. ერთი პატარა გამარჯვება ვიზეიმეთ, მთელი კომიტეტი იყო ჩვენი მხარდამჭერი. გაკეთდება რეკომენდაცია მთავრობის დონეზე. ჩემი აზრით, კომიტეტი საკმაოდ დიდი ინსტანციაა, რომელსაც უნდა უსმენდეს სახალხო დამცველიც და მთავრობაც. სასულიერო პირები და მრევლი მირეკავს გამუდმებით და მათი სურვილია, რომ საქმე დაიძრას ისე, როგორც ხელმომწერები ითხოვენ და არ მოხდეს ინტერპრეტირება, ან სხვა ფორმით საკითხის დაყენება. ეკა ბესელიამ შეისწავლა ალტერნატიული დოკუმენტის შესახებ და დაგვიდასტურა, რომ მსგავსი პრეცედენტები არსებობს სხვა ქვეყნებში. ეს ნამდვილად არ იყო ჩვენი აზრი და უცხოეთის ქვეყნებშიც არსებობდა ეს. იურისტებმაც წარმოადგინეს დოკუმენტაცია ამის შესახებ და გადაწყდა, რომ ალტერნატიული პირადობის მოწმობა უნდა იქნას დაშვებული.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# გია ხუხაშვილი: „2015 წელს საქართველოში მწვავე სამთავრობო კრიზისი დადგება!“

## რით ასაბუთებს ექსპერტი მოსალოდნელ კრიზისს

ექსპერტი გია ხუხაშვილი ფიქრობს, რომ 2015 წელს საქართველოში მწვავე სამთავრობო კრიზისი დადგება: „ხმაურიანი კრიზისი გარდაუვალია. გამოწვევებს, რამაც შეიძლება ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანოს, ხელისუფლება ვერ უმკლავდება. ხელისუფლებას კრიზისთან ბრძოლის გზები მოჭრილი აქვს. გარდაუვალია, რომ დადგება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი“.

**რატომ აქვთ ხელისუფლებას კრიზისთან ბრძოლის გზები მოჭრილი, რა სახით დადგება, ან ვინ დააყენებს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს?**

**„ალიას“ გია ხუხაშვილი ესაუბრა:**

**— ამბობთ, რომ ხელისუფლებას კრიზისთან ბრძოლის გზები მოჭრილი აქვს. რატომ?**

– შეხედეთ, რა ხდება. ავიღოთ საგარეო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკაში წარმატება გვაქვს ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ამას უფრო ინერციის სახე აქვს. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც სერიოზული სირთულეები გაგვიჩნდა სხვა პარტნიორებთან მიმართებაში. ის, რომ უკრაინაში „ნაციონალური მოძრაობა“ იკეთებს სერიოზულ პლაცდარმს, ბუნებრივია, ეს პროცესი, დასავლეთიდან ლეგალიზაციის გარეშე ვერ მოხდებოდა. ცდება, ვისაც აქვს ილუზია, რომ უკრაინაში ზღულაძისა და ადეიშვილის სავარაუდო დანიშვნა, დასავლეთთან შეუთანხმებლად ხდება. გართულდა ურთიერთობები რუსეთთანაც. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას მუდმივად ჰქონდა მცდელობა, რომ შეერბილებინა ამ საკითხიდან მომავალი რისკები, ეს ასე არ მოხდა. ამის შედეგებს ვაკვირდებით კიდეც აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში.

**— შიდა პოლიტიკაში?**

– რაც შეეხება შიდა პოლიტიკას, მთავარი ფუნდამენტური საკითხები ვერ გადაწყდა, თუნდაც ის ელემენტარული, რაც თვითონ ჰქონდა გამოცხადებული და რის გამოც რეჟიმი წავიდა. ეს იყო ტოტალური მოსმენისა და თვალთვალის თემა, აქაც კი ხელისუფლებას უკუსვლა აქვს, თავისივე გამოცხადებული რეფორმა ვერ მიიყვანა ბოლოში, ანუ სააკაშვილის შექმნილმა სისტემამ მაინც გაიმარჯვა. რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, აქაც, სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ სისტემური გარღვევა არ მომხდარა და სოციალური სტატუსი, საშუალო სოციალური ქართველისა არ გაზრდილა და ეს ხდება სერიოზული ინფლაციის ფონზე, რაც ძალიან სახიფათოა. ასევე, ის, რაც ჩვენ ვიხილეთ პარლამენტში ბოლო დღეებში, იძლევა დამატებით რისკს. ძალაზე ადამიანები მაშინ გადადიან, როცა მათ არ აქვთ არგუმენტები და ამის პრეცედენტი ჩვენ წლის ბოლოს ვნახეთ. ეს ტემპერატურას კიდევ უფრო მაღლა წევს. ანუ, რისკების მთელი სპექტრი აქვს ხელისუფლებას. რომელიმე მათგანის გადაწყვეტის მწყობრი გეგმა არ ჩანს, სამწუხაროდ. ეს ყველაფერი მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ხელისუფლებას კრიზისთან ბრძოლის გზები მოჭრილი აქვს.

**— თქვენ ასევე ამბობთ, რომ გარდაუვალია, რომ დადგება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი...**

– როცა კრიზისში შევდივართ, კრიზისს აქვს თავისი ეტაპები. ის ეტაპი, როცა კრიზისიდან გამოსვლა შეიძლებოდა გამხდარიყო რომელიმე მინისტრის, ან რომელიმე უწყების ხელმძღვანელის შეცვლა, უკვე გავიარეთ ჩვენ. ეს უკვე აღარ იქნება საკმარისი. ასე რომ, მორიგი დონე არის სამთავრობო დონე, შემდეგ მოდის საპარლამენტო დონე, ბოლოს კი მოდის მთავრობის ნდობის საკითხი. კონკრეტული ჩინოვნიკი აღარ იქნება საკმარისი. კრიზისი თუ გამწვავდა და დინამიკა ასეთია ჯერჯერობით, ხვალ და ზეგ, უფრო და უფრო მაღალი რისკები გაჩნდება. ამის შემდეგი შენაწირი, რაც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, არის მთავრობა.

**— რა სახით შეიძლება დადგეს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი, ან ვინ დააყენებს?**

– დადგება მთავრობის ნდობის საკითხი, რაც ჩვეულებრივი კონსტიტუციური პროცესია. ვინ დააყენებს, ეს უკვე ტექნიკური საკითხებია. ბუნებრივია, როცა ეს პროცესი საზოგადოებაში იბადება, მერე ასახვას ჰპოვებს პარლამენტში. მე ვფიქრობ, ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, რადგან დადგება ამის საფუძველი. პროცესის დინამიკა აჩვენებს, რომ შეცდომის კიდევ უფრო დიდი შეცდომით გადაფარვა ხდება და ეს შეცდომები არ არის შორს იმ შეცდომებისგან, რასაც ყოფილი ხელისუფლება უშვებდა.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის შეტანა არ აიკრძალება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაცია ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანის შესაძლო აკრძალვის შესახებ.

„რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტი 2013 წლიდან განახლდა. პირველ ეტაპზე რუსეთის ბაზარზე დაბალი ფიტოსანიტარიული რისკის, მოგვიანებით კი, მაღალი ფიტოსანიტარიული რისკის შემცველი პროდუქცია დაიშვა. ამ ეტაპზე საქართველოდან რუსეთში ალკოჰოლური და მინერალური სასმელების, ასევე ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსის, მშრალი ხილის, სუნელების, ჩაის და დაფნის ექსპორტი ხორციელდება.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები ცხოველური წარმოშობის პროდუქციის, ცხვრის, თევზისა და თაფლის ექსპორტის განსახორციელებლად“. – ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

ქართული პროდუქციის შესაძლო აკრძალვის შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად რუსულ მედიაში გამოჩნდა, გავრცელებული ინფორმაციით, ამ გადაწყვეტილებას ხელი პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოაწერა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შსს-ს თანამშრომელმა საერთაშორისო კონკურსში „პორშე 911“ მოიგო



შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელმა სოფო სალუქვაძემ „მარტინი“-ს საერთაშორისო კონკურსზე „პორშე 911“ მოიგო. გამარჯვება მას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ მიულოცა.

საერთაშორისო ბრენდმა „მარტინი“-მ განახორციელა გლობალური კამპანია: „Race To Desire“, რომლის ფარგლებში, გაათამაშა „პორშე 911“, საგზური ამავე კონკურსის სუპერფინალზე მილანში და სხვა პრიზები.

საქართველოდან გათამაშებაში ჩაერთო 4 000-მდე კონკურსანტი. პირველი ტურის პირობები გულისხმობდა დასმულ კითხვებზე ორიგინალურ პასუხს, ხოლო მეორე ტურის ფარგლებში, კონკურსანტებს „მარტინი“-ს ვებ-გვერდზე უნდა აეტვირთათ ფოტოსურათი კოქტეილ „მარტინ როიალთან“ ერთად. საბოლოოდ, „მარტინი“-სა და „პორშე“-ს გლობალურმა წარმომადგენლებმა ყველაზე ორიგინალურ მონაწილედ სოფო სალუქვაძე შეაფასეს, რომელიც მილანში კონკურსის სუპერფინალზე გაემგზავრა, სადაც თამაშდებოდა მთავარი პრიზი – „პორშე 911“. სუპერფინალში მონაწილეობდნენ 15 ქვეყნის გამარჯვებული ფინალისტები. კონკურსანტებს უნდა დაემტკიცებინათ, რატომ იმსახურებდნენ „პორშე 911“-ის მოგებას. სოფომ ჟიურის აღფრთოვანება შეძლო – მან არაჩვეულებრივი სიმღერით დაამტკიცა, რომ სწორედ ის იმსახურებდა გამარჯვებას.

გამარჯვებული ქართველი კონკურსანტისთვის სპეციალურად დამზადდა „პორშე“-ს ახალი მოდელი, რომელიც მას ოფიციალურად და საზეიმოდ გადაეცა. (ნიუპოსტი)

## მეტრო და რიყის საბაგირო ახალი წლის ღამეს უფასოდ იმუშავებს



თბილისის მეტრო და რიყის საბაგირო ახალი წლისა და შობის ღამეს უფასოდ იმუშავებს. დედაქალაქის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის, პაატა ჯაჭვლიანის განცხადებით:

„31 დეკემბერს 24:00 საათიდან, 1-ლი იანვრის 04:30 საათამდე და 6 იანვარს, 24:00 საათიდან 7 იანვრის 04:30 საათამდე, მეტროპოლიტენი მუშაობას გაახანგრძლივებს. აღნიშნულ დღეებში 23:00 საათიდან 04:30 საათამდე მგზავრებს უფასო გადაადგილება შეეძლებათ. რაც შეეხება საბაგიროს, 31 დეკემბერს 23:00 საათიდან 1-ლი იანვრის 03:00 საათამდე მგზავრობა უფასო იქნება“, – განაცხადა ჯაჭვლიანმა. (ნიუპოსტი)

# ყვითელი ავტობუსების კონტროლიორები გაფიცვით იმუქრებიან



ყვითელი ავტობუსის კონტროლიორების თქმით, ბოლო პერიოდის განმავლობაში სატრანსპორტო სამსახური გამკაცრებულად მუშაობას ავალებდათ, ხოლო წლის ბოლოს პრემიას პირდებოდათ. მე-13 ხელფასის მიღებას კონტროლიორები 30 დეკემბერს ელოდებიან და იმ შემთხვევაში, თუკი დაპირებულ პრემიას არ მიიღებენ, საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავენ.

**რა მდგომარეობაში არიან ავტობუსის კონტროლიორები? რამდენად გრძნობენ ისინი თავს დაცულად?**

**„ალიას“ მძღოლთა უფლებების დამცველი, ნიკოლოზ კაჭკაჭური ესაუბრა:**

– როგორც ჩემთვის ცნობილია, მძღოლებსა და კონტროლიორებს საახალწლოდ აძლევენ მე-13 ხელფასს, მაგრამ შარშან მთლიანი ხელფასი მათ მისცეს გამომუშავებით. რაც მეტი გაბილეთიანება იქნება, მით მეტ ბონუსს აძლევენ მათ.

**— აბა, რა პრეტენზია აქვთ?**

– ხშირია მათი კამათი მგზავრებთან, რომლებიც ითხოვენ კონკრეტულ ადგილზე გაჩერებას. გვყავდა ერთი კონტროლიორი, ის გამოესარჩლა მძღოლს, რომელიც უხსნიდა მგზავრს, რომ მხოლოდ გაჩერებაზე უნდა გაეჩერებინა ავტობუსი, მგზავრმა უჩივლა და არაფრის გამო გააგდეს სამსახურიდან. არანაირი დამცავი მექანიზმი არ არსებობს. მივიდა თავის ხელმძღვანელობასთან და იმან უთხრა, მე რა ვქნა, გიჩივლეს და უნდა გაგიშვაო. ეს ადამიანი ახლა ზის უმუშევარი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს სარჩენი. ეს ადამიანები ისე უყურადღებოდ არიან მიტოვებულები, რომ პატრონი არ ჰყავთ, მერე გამორბიან ჩემთან. რაც შემიძლია, კი ვცდილობ, რომ აღვადგინო სამსახურში, მაგრამ ხანდახან შეუძლებელია. არავის არ აინტერესებს ამათი ბედი და ოჯახის მდგომარეობა, ისეთ უკონტროლობაა. ეს ადამიანები სჭირდებათ მხოლოდ იმიტომ, რომ ბიზნესი აკეთონ, თორემ ამ ხალხზე კი არავინ ფიქრობს.

მგზავრები ნერვებს უშლიან მძღოლებსაც, ხომ გახსოვთ, რის გამო მოკლეს გაზაფხულზე ავტობუსის მძღოლი? იმის გამო, რომ კონკრეტულ ადგილზე გაჩერებაზე უარი უთხრა.

აგრესიულია ის მგზავრი, ვისაც სთხოვენ ბილეთის აღებას. ყველა ხომ ვალდებულია, ბილეთი აიღოს? ზოგს ისე ლანძღავენ, რომ ავტობუსის მძღოლი ვალდებულია, გააჩეროს მანქანა და შეფერხდება მოძრაობა. ამდენი ხალხი უნდა გაჩერდეს, რომ ეს მგზავრი ჩამოსვან მანქანიდან. ზოგი მგზავრი არც ჩადის და არც ბილეთს იღებს, ბოლომდე ჩხუბობს.

**- რამდენი აქვთ ხელფასი კონტროლიორებს?**

- 800 ლარი.

**— თუ მოხუცი ან ინვალიდი ადის ავტობუსში, შემხვედრია, რომ ეცოდება კონტროლიორს და არ აღებინებს ბილეთს. ამის შედეგად კონტროლიორს ხელფასს აკლებენ?**

– დიახ, ასეა. კონტროლიორის სამუშაო დგება ასეთ დროს საფრთხის ქვეშ, შეიძლება, ეს მოხუცი სპეციალურად ააგზავნოს ვინმემ ავტობუსში, ის თუ შეეცოდა კონტროლიორს, გაათავისუფლებენ სამსახურიდან. დიდი პრობლემებია და ეს რომ ვინმესთან თქვას, ეტყვიან, წადით, სხვა სამსახური ნახეთო. დიდი შიში არსებობს. როგორც ჩაიდო ადრე, „ნაციონალების“ დროს, ისეთი შიში მოდის ინერციით დღემდე. შეიძლება, არც გააგდონ სამსახურიდან, მაგრამ მაინც არ ამბობენ, რადგან ეს შიში უფრო ძლიერია.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16



# რა შეცვალეს „ლეიბორისტებმა" წესდებაში და როგორ აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას?

„ლეიბორისტულ პარტიას" 76 ახალი წევრი შეემატა. პარტიის მანდატები მათ პარტიის თავმჯდომარემ, შალვა ნათელაშვილმა გადასცა. მისი თქმით: „საქართველოს ლეიბორისტულმა" პარტიამ გაუძლო ოცწლიან ქარტეხილებს. ის დღეს მტკიცედ დგას ფეხზე, იზრდება და ძლიერდება. ჩვენ ხელისუფლებაში უნდა მოვიდეთ ხალხისთვის და არა ჩვენი თავისთვის. ჩვენ უნდა შევცვალოთ ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული დანაშაულებრივი კურსი. დღეს დამეკისრა უდიდესი მოვალეობა, უნდა გადავცე მანდატები შემომატებულ ახალ თანამებრძოლებს, ღირსეულ მოქალაქეებს ჩვენი ქვეყნისა, რომელთაც ისტორიამ დააკისრა დიდი მისია – იყვნენ გამარჯვებისა და ქვეყნის გადარჩენის მონაწილენი წინა ხაზზე და ძალიან აქტიურ ფრონტზე".

**როგორ ძლიერდება ლეიბორისტული პარტია? რა ცვლილება შეიტანეს წესდებაში? როგორ არჩევენ პარტიაში მისაღებად ახალ წევრებს?**

**„ალიას" „ლეიბორისტების" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ესაუბრა:**

**— როგორ აპირებთ პარტიის გაძლიერებას? ეს ადამიანები რა დივიდენდი იქნება პარტიისთვის?**

– სამწუხაროდ, რეგიონებიდან ვერ შეძლეს ჩამოსვლა და ეს ადამიანები თბილისის მასშტაბით შემოუერთდნენ პარტიას. ბოლო ერთ თვეა, მასობრივი შემოდინება არის პარტიაში. ეს არის ადამიანების უზარმაზარი რესურსი, რომელიც, ბუნებრივია, გააძლიერებს პარტიას. ესენი, ძირითადად არიან ახალგაზრდობის წარმომადგენლები და ეს გვაძლევს სტიმულს, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. ჩვენ გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ წესდებაში ბოლო ყრილობაზე და მოვახდინეთ უფლებამოსილების დელეგირება, ადგილზე შეუძლიათ ადამიანების განევრიანება. დავრწმუნდით, რომ პარტიის რეიტინგი არის მზარდი, უზარმაზარი შემომატებაა, ვემზადებით იმისთვის, რომ ის უზბედურება, რაც ქვეყანაში ტრიალებს, დამთავრდეს.

**— ამას როგორ აპირებთ?**

– პარტია ძლიერდება, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მივიდეთ ვადამდელ არჩევნებამდე. ამ ეტაპზე მთავარია, შევცვალოთ დრაკონული საარჩევნო კოდექსი. თუ ამ კანონის შეცვლა არ მოხდა, არც ვადამდელ არჩევნებს და არც უვადოს აზრი არ ექნება. ჩვენ ვიქნებით მაორგანიზებელი ძალა ამ გაძლიერების, იდეა ქვეყნის გადარჩენისა არის სწორი, ამიტომ გვიერთდებიან ადამიანები. ჩვენ მცდელობას არ დავაკლებთ, რომ ორგანიზებულად მივიდეთ არჩევნებამდე. პროგნოზები უმადური საქმეა, შეიძლება ეს ადრეულ გაზაფხულზეც იყოს, მთავარია, ახალი კანონმდებლობით მივიდეთ არჩევნებამდე, რადგან ასე ცხოვრება უკვე შეუძლებელია. ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება, კატასტროფულ ხასიათს იძენს სოციალური ფონი, ეკონომიკა განაპირობებს სოციალურ მდგომარეობას და ის ჩამოშლის პირასაა, პარლამენტში მუშტიკრივსა და მილიონების შოვნაზე არიან გადასულები. ეს მილიარდერთა ბანდა უნდა ჩამოშორდეს ხელისუფლებას, უნდა მოვიდეს ის ძალა ჩვენი სახით, რომელიც დაიცავს თითოეული მოქალაქის ინტერესს.

**— ყველა პროცესს ფული სჭირდება, გაქვთ ამის რესურსი?**

– ჩვენ ამ პროცესმა გვიჩვენა, რომ მილიარდერები ხელისუფლებაში მოდიან იმიტომ, რომ მილიარდს მილიარდი მიამატონ და გააგრძელონ ამ ქვეყნის ყვლეფა. თუ იგივე აზრზე დარჩება საზოგადოება, რომ გადმოგდებულ 20 ლარს დახარბდება, რომელსაც დღეს გადმოუგდებენ, თუ ეშმაკს მიჰყიდიან სულს, ეს იქნება უდიდესი შეცდომა და ტრაგედიად დაუჯდება ქვეყანას. დადგა ის დრო, რომ ხელისუფლებაში ის ძალა მოვიდეს, რომელიც არ არის ფულიანი, არ აქვს მონაწილეობა მილებული ქვეყნის ძარცვაში და არ ჰპირდება ხალხს, რომ მილიარდებს დაურიგებს. ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდეს ხელისუფლება, რომელსაც ქვეყანა ქარვასლა არ ჰგონია. თუ გავითვალისწინებთ იმ ტენდენციას, რა რეიტინგიც აქვს უკვე პარტიას და როგორც მიმდინარეობს შემოდინება, ვფიქრობ, რომ ჩვენ გვექნება სერიოზული პრეტენზიაც, რომ მოვალთ ხელისუფლებაში.

**— რა კრიტერიუმით აარჩიეთ ახალი წევრები პარტიაში?**

– ჩვენთვის მთავარი იყო იდეური გაერთიანება, ვინც ეთანხმება პარტიის იდეას და პერსპექტივას, ამ ნიშნით შემოვიმატეთ ეს ახალგაზრდები.

**— რამდენად დარწმუნებულები ხართ მათ ერთგულებაში, შემოწმებული გყავთ ეს ადამიანები? იქნებ ვინმემ შემოგიგზავნათ.**

– ამას დრო გამოაჩენს. ბუნებრივია, არ არსებობს დეტექტორი ამ საკითხის შესამოწმებლად, რამდენად იდეურად არიან ერთგულები, ამ ადამიანებს არ მინდა რამე დავწამო, უბრალოდ დრო გვაჩვენებს ყველაფერს, გამორიცხული არაფერი არაა. მთავარია, რამდენად ბრძოლისუნარიანები იქნებიან და გაუძლებენ ყველაფერს ამ ბანდის წინააღმდეგ.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საბავშვო ბაგა-ბაღებში ზამთრის არდადეგები დაიწყო



შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში 29 დეკემბრიდან 2015 წლის 11 იანვრის ჩათვლით ზამთრის არდადეგები გამოცხადდა.

დედაქალაქის მერიის ცნობით, თბილისის მთავრობის სხდომის დადგენილებით, სასწავლო პროცესი 12 იანვრიდან განახლდება. (ინტერპრესნიუსი)

## პედაგოგებისთვის გამოყოფილ დანამატებს ბაღი გადაანაწილებს

ბაღების მართვის სააგენტო ბაღებისთვის გაცემული დანამატების დანიშნულებამდე მისვლის პროცესს მონიტორინგს გაუწევს. სააგენტოს ბუღალტრის ალეკო ნატროშვილის განცხადებით:

„არც ერთ საბავშვო ბაღში ჯერჯერობით არ გაცემულა თანხა, რადგან მთავრობის გადაწყვეტილება ძალაში შესული არ არის, თუმცა ინფორმირებულები, რომ დანამატს მიიღებენ, უკვე არიან. ჩვენ ფინანსური გავლა გვაქვს ყოველთვიური და ვუთხარით, რომ მთავრობის განკარგულებით საახალწლო წახალისება, დანამატი გამოიყოფა, ამას მეცამეტე ხელფასს არ ვეძახით. ვუთხარით, რომ აუცილებლად ხელფასის ოდენობა ყველას ჩაერიცხებათ.

თანხა ბაღს ჩაერიცხება და ბაღმა უნდა გაანაწილოს. გამორიცხულია, რომ პედაგოგებს არ მისცენ. ჩვენ მონიტორინგის ფუნქციაც გვაქვს და ვალდებულებაც. საბანკო ამონაწერი არსებობს და ვის ჩაერიცხება და ვის – არა, მარტივი გასარკვევია. ვერ გაბედავს, რომ აქედან დაფინანსება მივცეთ და დირექტორმა არ გადაანაწილოს პედაგოგებში. მე გავხდები მისი ნომერი პირველი მტერი ამ შემთხვევაში. როცა მთავრობის განკარგულება ძალაში შევა, ის 159-ე ბაღში ამოქმედდება და ამას თუ ვინმე გაბედავს, რომ ის ფული ჩავურიცხოთ და მასწავლებლებს არ მისცეს ეს დანამატი, მე გაძლევთ პირობას, რომ უმკაცრესად დაისჯება ის ადამიანი", – განაცხადა ნატროშვილმა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## შსს-მ თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირი დააკავა



საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს თანამშრომლებმა, აზერბაიჯანის მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის დროს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი" თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი, 1966 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დოღან თუნჯაი დააკავეს. მისი დაკავებისა და შემდგომი ექსტრადიციის მიზნით ანკარის ინტერპოლის მიერ საერთაშორისო ძებნაში 2014 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა.

დოღან თუნჯაის ბრალად ედება თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 227/2, 62/1 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც პროსტიტუციაში შუამავლობას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაულისთვის დაკავებულს თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით 2 წლით და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ამჟამად დოღან თუნჯაი დაკავებული და გადაყვანილია ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში. მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

## თურქეთში ავარიაში საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა



თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ რიზეში, არდეშენის რაიონში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, სანაპიროს გასწვრივ მოძრავ მსუბუქ ავტომობილს 40 წლის გიორგი ფანცხავა მართავდა. ავტოსატრანსპორტო საშუალება ბარიერებს შეეჯახა, რომლის ნაწილებიც მანქანის სალონში შევიდა და მგზავრები დააზიანა.

შეჯახების დროს ადგილზე გარდაიცვალა მძღოლი, ხოლო მგზავრი ნუგზარ ბრეგაძე დაშავდა. მომხდართან დაკავშირებით თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები გამოძიებას აწარმოებენ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ის პირები, ვინც ტესტირება ვერ გაიარეს, ჯერჯერობით თანამდებობებზე რჩებიან"



ცნობილი გახდა 27-28 აგვისტოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისთვის ჩატარებული ტესტირების შედეგები. ტესტირების შედეგების მიხედვით, თბილისის სხვადასხვა რაიონებში ბევრმა თვითმმართველობის მაღალი თანამდებობის პირმა მინიმალური ზღვარის გადალახვა ვერ მოახერხა.

გლდანი: 17 ახლად არჩეული თანამშრომლიდან მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა 15-მა თანამშრომელმა, მათ შორის არიან გამგებლის 3 მოადგილე, მუნიციპალიტეტის სამი თავმჯდომარე და განყოფილების უფროსები.

ვაკე: ჩაიჭრნენ გამგებლის მოადგილე, სოციალური განყოფილების უფროსი და სოციალური განყოფილების თანამშრომლები.

სამგორი: ჩაიჭრა: ორი მოადგილე, სოციალური განყოფილების უფროსი.

მთაწმინდა: ჩაიჭრა გამგებლის 2 მოადგილე და 4 მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე.

ნაძალადევი: ჩაიჭრნენ გამგებლის მოადგილეები, განყოფილების უფროსი და მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე.

კრწანისი: ჩაიჭრა გამგებლის 2 მოადგილე, სოციალური განყოფილების უფროსი.

ისანი: ჩაიჭრა გამგებლის ორი მოადგილე.

თბილისის მერის დავით ნარმანიას თქმით, მუნიციპალიტეტში დასაქმებული მაღალჩინოსნები, რომელთაც საატესტაციო კონკურსი ვერ გაიარეს, ჯერჯერობით თანამდებობებზე რჩებიან.

„ჩვენ ჯერ სტატისტიკა არ მიგვილია გამოცდების ეროვნული ცენტრიდან. მივიღებთ სტატისტიკას და ამის მიხედვით დავგეგმავთ გასაუბრების გრაფიკს, ხოლო სხვა დანარჩენი გასაუბრების შედეგებიდან გახდება ცნობილი", – აცხადებს ნარმანია. (ნიუპოსტი)

## ცეცხლმოკიდებულ გემზე ქართველი ფეხმძიმე ქალბატონი იმყოფებოდა



სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი, დავით სუჯაშვილი პირადად ესაუბრა საქართველოს ელჩს იტალიაში კახა სიხარულიძეს. საბერძნეთის სანაპიროსთან ბორან „ნორმან ატლანტიკ"-ზე მყოფი 478 მგზავრიდან საქართველოს 8 მოქალაქე იყო, როგორც საქართველოს ელჩმა იტალიაში კახა სიხარულიძემ განაცხადა, ერთ-ერთი ქართველი, ფეხმძიმე ქალბატონი, ქალაქ ბარის საავადმყოფოშია გადაყვანილი. მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბორან „ნორმან ატლანტიკიდან" ყველა მგზავრი ევაკუირებულია.

საბოლოო მონაცემებით ბორანზე ხანძრის შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა, იტალიური მედიის ინფორმაციით, ქალაქ ბარიში უსაფრთხო ადგილზე გადაყვანილი 49 ადამიანიდან 4 ბავშვია, მათ შორის ერთი ქართველი. (ნიუპოსტი)



# მიხეილ ცაგარელი: გაინტერესებთ, როგორი იქნება თქვენთვის 2015 წელი?

**როგორი იქნება 2015 წელი ჩვენთვის? რომელი ზოდიაქოს ნიშნისთვისაა 2015 ფავორიტი? როგორ ავისრულოთ სურვილები, როგორ მოვრთოთ სუფრა და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა ახალი წელი განსაკუთრებით წარმატებული იყოს? ამის შესახებ ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი საუბრობს...**

**— 2015 წელი მოდის... რისი სიმბოლოა თხა, ცხვარი და როგორი იქნება მომავალი წელი?**

– 2015 წელი უკავშირდება თხას, ჩინურად, იაპონურად კი მწვანე ცხვრის წელიწადია და იწყება 19 თებერვალს. ამ დრომდე ჯერ ისევ ცხენის წელიწადში ვართ. თხა განეკუთვნება ხის სტიქიას. ხე უკავშირდება სიუხვეს, აყვავებას, ჰარმონიას რომანტიზმს. სწორედ ეს თვისებები წამოიწევს წინა პლანზე, თხის წელს. მოიმატებს არაორგანიზებულობა, არაპუნქტუალურობა. მომავალ წელს ადამიანებში შეიძლება მოხდეს ბოროტებისა და სიკეთის აღრევა. მნიშვნელოვანია, ეს არ მოხდეს და ადამიანმა შავი თეთრისგან გაარჩიოს. თუ ცხენის წელიწადი შედარებით უფრო აღგზნებული იყო, თხა პირიქით – მშვიდობიანია, არ უყვარს კონფლიქტი. თხა აღმოსავლური ზოდიაქოს ნიშნებში ითვლება ყველაზე იღბლიანად. ამიტომ იღბალი მოიმატებს. კარგია ეს წელიწადი ლატარიებისთვის, გათამაშებებისთვის, კონკურსში მონაწილეობისთვის... აუცილებელი იქნება ნებისმიერი პრობლემის, მხოლოდ დიპლომატიური გზით მოგვარება, კომპრომისზე წასვლით და არავითარ შემთხვევაში აგრესიით, ეს აუცილებელი პირობაა.

ჯანმრთელობის კუთხით დასუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. 11 აგვისტომდე ასევე დასუსტდება ელენთა, ნაწლავური სისტემები, კუჭქვეშა ჯირკვალი, ხოლო 11 აგვისტოს შემდეგ მეტი ყურადღება სჭირდება თირკმელებს, ენდოკრინოლოგიურ სისტემას და ყელის არეს. შედარებით რთული პერიოდები გვაქვს ინფექციური დაავადებების, ეკოლოგიური კატასტროფების კუთხით იანვარ-თებერვალში. ძალიან საყურადღებოა მარტის ბოლო და აპრილის დასაწყისი. მაისი, ივნისი, ნოემბრის ბოლო და დეკემბერი. ეს ყველაზე რთული პერიოდებია როგორც ეკოლოგიური, ისე იდეოლოგიური, ფინანსური და ჯანმრთელობის კუთხით.

მედიცინის სფეროში იქნება სერიოზული ცვლილებები, მათ შორის საკადრო. სამედიცინო შეცდომების ალბათობა ძალიან მაღალია, განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში. წლის მეორე ნახევარში, სექტემბრიდან მოსალოდნელია სერიოზული ცვლილებები იურისპრუნდენციაში. ადამიანებს განსაკუთრებით სჭირდებათ ყველგან და ყველაფერში გონიერების დაცვა. იკრძალება ღალატი, ეს სერიოზულად დასჯადია ამ წელს.

**— რომელი ზოდიაქოს ნიშნებისთვის იქნება 2015 წელი წარმატებული?**

– კარგია ეს წელიწადი თვით თხის წელში დაბადებულთათვის, თუმცა ეცადონ, რაღაც ახალი დაიწყონ, ახალ საქმეს მოჰკიდონ ხელი. კარგია თხის წელი ცხენის, კატის, ტახის წლებში დაბადებულთათვის. შედარებით რთულია ის ძაღლის, ხარისა და დრაკონის წლებში დაბადებულთათვის. მამალი თუ არ იქნება ზედმეტად აგრესიული და ემოციური, კარგი წელი ექნება. გველის, მაიმუნის, ვეფხვის წელიწადში დაბადებულთათვის ეს წელიწადი საშუალო დონის იქნება. კარგი წელიწადია ლომის ზოდიაქოსთვის, თევზების და კირჩხიბისთვის; თხის წელიწადში ეს სამი ნიშანი ფავორიტია. სასწორისთვის კარგი წელია 25 სექტემბრამდე, შემდგომ მას უფრო რთული ტენდენციების პერიოდი ეწყება.

რთულია ეს წელიწადი და განსაკუთრებით 11 აგვისტომდე ქალწულებისთვის. ამ ზოდიაქოსთვის პრობლემები მოიმატებს ჯანმრთელობის კუთხით და კოლეგებთან ურთიერთობაში. 11 აგვისტოს შემდეგ კი სიტუაცია ქალწულის ნიშნებისთვის გაუმჯობესდება. მშვილდოსნისთვის პირიქით, წლის მეორე ნახევარში უფრო გაუჭირდება. დანარჩენი ზოდიაქოს ნიშნებისთვის ეს წელი მეტ-ნაკლებად წარმატებულია.

მინერალებიდან წლის მთავარი ქვებია: ბრილიანტი, ქარვა, აკვამარინი, საფირონი, ძოწი. დღის მეორე ნახევარში გირჩევთ მარგალიტს, გიშერს, მარჯანს, ამეთვისტოს.

რაც შეეხებ ახალი წლის რიტუალს, 31 დეკემბერს საახალწლო სუფრაზე უნდა გქონდეთ როგორც თხის, ასევე ცხენის ფიგურები, ხოლო 19 თებერვალს დარჩება მხოლოდ თხის. საკვებ რაციონში მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი ეროვნული კერძები. აუცილებლად რძის ნაწარმი. კარგი იქნება, რაც შეიძლება მეტი ხილ-ბოსტნეული, განსაკუთრებით მწვანილი, რომელიც ძალიან უყვარს როგორც თხას, ისე ცხენს. თუ იქნება შვრია, მით უკეთესი. აუცილებელია პატარა ჭურჭელზე შაქრის რამდენიმე ნატეხიც განათავსოთ. სასმელებიდან პირველ რიგში უპირატესობა თეთრ ღვინოს მიანიჭეთ. სიუხვისთვის აუცილებელია გოგრა.

კარგია ლიმონათი, მინერალური წყალი. მისაღებია სალათები, შეგვიძლია სუფრა ეგზოტიკური ხილითაც გავალამაზოთ. ერთადერთი, რაც სუფრაზე იკრძალება, ესაა: ცხენისა და ცხვრის ხორცი. დანარჩენ ხორცეულზე: ძროხა, ღორი, ქათამი ნებადართულია. ამასთანავე, რადგან 31 დეკემბერს ჯერ კიდევ გრძელდება ცხენის წელიწადი, სასურველია, შევხვდეთ ისე როგორც შარშან, მხიარულად, ცეკვით, სიმღერით.

თხის ძირითადი ფერია მწვანე. შემდეგ მოდის ყავისფერი, ყვითელი, ოქროსფერი, ბეჟი, კრემისფერი, შემდგომ უპირატესობა ენიჭება ლურჯ ფერს, შეგვიძლია სამოსში შევიტანოთ წითელი ტონებიც.

კარგი იქნება ახალი წლის დადგომამდე 15 წუთით ადრე თუ ავანთებთ მწვანე, ყვითელ, ან შეიძლება წითელი ფერის სამ სანთელს და ამ სანთლებს, ალს ვთხოვთ, რომ აგვისრულდეს ის, რაც გვინდა, რომ 2015 წელს მოხდეს. ასეთი ანთებული სანთლებით შეხვდით ახალ წელს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მამა ილია წმ. ნიკოლოზის საფლავზე მოსალოცად მიემგზავრებოდა“



საბერძნეთის ნაპირებთან ცეცხლმოკიდებულ ბორანზე მყოფი ქართველი სასულიერო პირის ადგილსამყოფელზე ინფორმაცია ჯერ არ მოიპოვება.

მცხეთაში მოღვაწე სასულიერო პირი ილია კარტოზიაა. მონასტრის მსახურების განცხადებით ის ორი დღის წინ გაემგზავრა ევროპაში მოსალოცად და იტალიას, საბერძნეთს და გერმანიას უნდა წვეოდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანის დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის განცხადებით სასულიერო პირი იტალიაში მრევლის რამდენიმე წევრთან ერთად მიემგზავრებოდა:

„მამა ილია მიემგზავრებოდა მრევლის რამდენიმე წევრთან ერთად იტალიაში ქალაქ ბარში, წმინდა ნიკოლოზის საფლავზე მოსალოცად, მასთან ერთად მყოფი ადამიანები გადარჩენილები არიან და როგორც გვაქვს ინფორმაცია ისინი იმყოფებიან სხვა კუნძულზე". – აცხადებს ბოტკოველი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## თერჯოლაში „სულით ხორცამდე“ „ნაციონალი“ თავმჯდომარის გადადგომას მოითხოვენ



თერჯოლაში საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები საკრებულოს თავმჯდომარეს მალხაზ გურგენიძეს „ნაციონალების“ ლობირებაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ თერჯოლაში ჩატარებული კონკურსის შედეგად, თანამდებობებზე გურგენიძის მეგობარი „ნაციონალები“ დაინიშნენ.

„ეს კაცი სულით ხორცამდე „ნაციონალია“. საკრებულოს თავმჯდომარედ მის არჩევას საზოგადოების წევრები და თავად „ქართული ოცნების“ დეპუტატები ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა მაშინ „ნაციონალი“ დეპუტატები დაუდგნენ გვერდით. თერჯოლის გამგეობასა და საკრებულოში მეგობრები დაასაქმა“, – ამბობს აქციის მონაწილე ჯემალ ვარდანიძემ.

თავად მალხაზ გურგენიძე აცხადებს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ კანონის შესაბამისად იმუშავა. რაც შეეხება გურგენიძის თანამდებობიდან წასვლას, აცხადებს, რომ მას აღნიშნულ თანამდებობაზე მანდატი საზოგადოებამ 4 წლის ვადით მისცა, შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტის დატოვებას არ აპირებს. (news.ge)

## რა დაგიჯდებათ საახალწლო სუფრის მომზადება



თბილისში უკვე რამდენიმე დღეა, საახალწლო ბაზრობა დაიწყო. ახალი წლის მოახლოებასთან ერთად პროდუქტზე ფასები ყოველთვის იმატებს, თუმცა წელს ფასების მატებას მოსახლეობა ლარის გაუფასურებასაც უკავშირებს.

ამ დროისთვის საახალწლო სუფრის უცვლელი კერძის – საცივის მომზადებისთვის საჭირო პროდუქტები, ინდაური 80 ლარი ღირს, ერთი კილოგრამი ნიგვზის ფასი კი 23 ლარიდან იწყება. ერთი კილოგრამი თაფლის ფასი ხარისხის მიხედვით 11-დან 15 ლარამდე მერყეობს. ღორის ხორცი 10-12 ლარის ფარგლებშია, საქონლის ხორცი კი 12-დან 20 ლარამდე. გოჭის ფასი ხარისხისა და წონის შესაბამისად, 100 ლარიდან იწყება.

ამ მონაცემების მიხედვით, წელს ტრადიციული საახალწლო სუფრის მოსამზადებლად 400-500 ლარია საჭირო. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხულიგნობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1982 წელს დაბადებული ბესიკ მ. ჯგუფური ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დადგინდა, რომ 27 დეკემბერს, ღამის საათებში, ბათუმში, ერთ-ერთ კლუბში, ბრალდებული და მისი მეგობარი უხეშად არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ კლუბში მყოფ პირებს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბესიკ მ. არის თანმხლები იმ პირისა, რომელმაც იმავე საღამოს კლუბში სასიკვდილოდ დაჭრა შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს მეშვიდე განყოფილების უმცროსი ინსპექტორი თარაშ მ. რომელიც იმ საღამოს სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ძალადობით ან ძალადობის მუქარით ჩადენილი ხულიგნობის ფაქტზე მიმდინარეობს, რომელიც არღვევს უხეშად საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისთვის აშკარა უპატივცემულობას. (ნიუპოსტი)



## პოროშენკომ უკრაინის ბლოკგარეშე სტატუსის გაუქმებას ხელი მოაწერა

უკრაინის ბლოკგარეშე სტატუსის გაუქმებას ქვეყნის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ხელი მოაწერა და განაცხადა, რომ „მომდევნო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში უკრაინელი ხალხი ნატო-ში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს".

„პეტრო პოროშენკოს ბლოკმა" უმაღლეს რადაში კანონპროექტი, რომელიც უკრაინის ბლოკგარეშე სტატუსის გაუქმებას ითვალისწინებს, დაახლოებით ერთი თვის წინ დაარეგისტრირა. როგორც მმართველ პოლიტიკურ ძალაში განმარტავენ, კანონპროექტი საშუალებას მისცემს უკრაინას, დაუბრუნდეს ნატო-სთან დაახლოების კურსს, რაც თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ქვეყნის პოზიციებს მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

ოფიციალური კიევის გადაწყვეტილებას გამოეხმაურნენ მოსკოვში. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსეი მეშკოვმა გააფრთხილა ყველა, ვინც „ნატო-ში უკრაინის ჩათრევას ცდილობს", რომ პასუხისმგებლობა „კოლოსალური გეოპოლიტიკური შედეგებისთვის" სწორედ მათ დაეკისრებათ. (ფრონტნიუსი)

## „სააკაშვილთან დაკავშირებით, ინტერპოლთან მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა“

მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძე აცხადებს, რომ ინტერპოლს, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე წითელი ცირკულარით ძებნის გამოცხადებასთან დაკავშირებით ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია.

„მასალები გადაცემულია, მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ არის და დაველოდოთ“, – აცხადებს პროკურორის მოადგილე.

ცნობისთვის, მთავარი პროკურორის გიორგი ბადაშვილის განცხადებით, პროკურატურა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სააკაშვილზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდეს. (news.ge)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ნუნუკა თამაზაშვილი — „მეც მათ რიცხვში ვარ, ვისაც ახალი წელი ბავშვივით უხარია"



ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლე ნუნუკა თამაზაშვილი სოციალურ ქსელში წინასაახალწლო პოსტს აქვეყნებს.

– ირაკლისთან და ბავშვებთან ერთად ერეკლეს ქუჩაზე და რიყეზე გავისეირნე. წინასაახალწლო განწყობა უკვე სუფევს. ერეკლეს ქუჩაზე ნაძვის ხეების გამოფენაა, რიყეზე კი უსაყვარლესი თოვლის ბაბუა, პონები და ბევრი გასართობი ბავშვებისთვის. მეც მათ რიცხვში ვარ, ვისაც ახალი წელი ბავშვივით უხარია. მინდა, რომ სიხარული და სიკეთე ყველა ოჯახის თანამგზავრი იყოს. დამდეგს გილოცავთ! – წერს ნუნუკა.

*primetimenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ზურა ხაჩიძისა და ხათუნა ჟორდანიას ოჯახი საახალწლოდ დაინგრევა



„მარაო რუსთავი 2"-ზე „ერთგულების ტესტი" აგრძელებს პოპულარული ადამიანების მახეში გაბმას. ამჯერად მომღერალი ზურა ხაჩიძე ამოარჩიეს. მისი ცდუნება კი რუსული „ფლეიბოის" ქართველ მოდელ თამუნა ვაშალომიძეს ანდეს.

„ერთგულების ტესტი" ზურა ხაჩიძემ ბაკურიანში გაიარა. ყველაფერი ისე განვითარდა, რომ ზურას მეუღლის – ხათუნა ჟორდანიას შეფასებით საახალწლოდ შეიძლება ოჯახი დაენგრეს.

ზურა აშკარად გაება მახეში, რადგან თამუნა ვაშალომიძესთან, რომელთან ერთადაც ბაკურიანში მეზობელ სასტუმროში ვითომ შემთხვევით აღმოჩნდა, მალე დამეგობრდა და მათ შორის აშკარა ფლირტი დაიწყო. გადაცემის ანონსი იმით მთავრდება, რომ თამუნა და ზურა ერთ საწოლში აღმოჩნდებიან.



ზურა ერთადერთია ჯერჯერობით, რომელმაც, როგორც ანონსიდან ჩანს, „ერთგულების ტესტს" ვერ გაუძლო. არადა მომღერალმა წლების წინათ სხვა გადაცემების მიერ დადგმული რამდენიმე მსგავსი ტესტი წარმატებით ჩააბარა.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## სოფო ნიჟარაძე საქართველოში დაბრუნდა — ვისთან ერთად შეხვდება ახალ წელს მომღერალი



სოფო ნიჟარაძე საქართველოში დაბრუნდა, – ამის შესახებ მომღერლის „ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, სადაც სოფო ნიჟარაძემ საკუთარი ფოტო გამოაქვეყნა წარწერით Back home, რასაც მისი თაყვანისმცემლები დიდი სიხარულით შეხვდნენ.

მომღერალი ახალ წელს საქართველოში, ოჯახის წევრებთან ერთად შეხვდება და სცენაზეც დადგება. ის „რუსთავი 2"-ის საახალწლო კონცერტში იღებს მონაწილეობას, რომელიც ფილარმონიაში ჩატარდება. ცნობილია, რომ კონცერტზე ნიკოლოზ რაჭველი დაუკრავს, საღამოს კი „რუსთავი 2"-ის სახეები წაიყვანენ.

სოფო ნიჟარაძე საქართველოში დიდხანს დარჩება და მას მაყურებელი, სავარაუდოდ, „X ფაქტორის" ჟიურის შემადგენლობაში იხილავს.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## მარიტა როხვაძის მორიგი თამამი იმიჯი





მომღერალმა მარიტა როხვაძემ ბოლო დროს სექსუალური იმიჯი მოირგო. ჯერ იყო მეგა შოუ „ბრავოში" ისეთი ჩახსნილი კაბით გამოჩნდა, რომ კინაღამ ყველაფერი გამოუჩნდა და ამ იმიჯმაც, ეტყობა, გაათამამა. მართალია, ამბობდა, ეს მე არ ვიყავი, ეს პერსონაჟი იყო, რომელიც მე მოვირგეო, მაგრამ, როგორც ჩანს, მომღერალს წონაში დაკლების შემდეგ სექსუალური იმიჯი მოსწონს და ეს ახალი ფოტოებიც ამაზე მეტყველებს.

*primetimenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## მარიამ საჯაია „რიჟა" გახდა




საქართველოს პარლამენტში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალბატონად მარიამ საჯაიას მიიჩნევენ.

მარიამი თვისი სილამაზის გამო ბევრჯერ სკანდალშიც გაეხვია. ამბობდნენ, რომ სწორედ მისი გარეგნობის დამსახურებაა, ნაციონალების დახმარებით პოლიტიკაში რომ აღმოჩნდა.

ის ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც მიხეილ სააკაშვილი სამკაულებს ჩუქნიდა.

მარიამი ცდილობს, საკუთარი შრომისმოყვარეობით დაამტკიცოს, რომ სწორედ ნიჭის წყალობით მოხვდა პარლამენტში. მომხიბვლელმა პარლამენტარმა ცოტა ხნის წინ იმიჯი შეიცვალა. თმა შეიჭრა და წითლად შეიღება.

სოციალურ ქსელში მისი სილამაზით კიდევ ერთხელ აღფრთოვანდნენ. პარლამენტარის მეგობრები წერენ, რომ ახალი იმიჯი მას ძალიან უხდება.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ვის მიიჩნევს ვახტანგ რჩეულიშვილი სიცოცხლის ელექსირად?



ბიზნესმენი ვახტანგ რჩეულიშვილი სოციალურ ქსელში მორიგ სტატუსს აქვეყნებს.

– გოგლიკ, კარგი გამახსენე – ეგეთები ჩვენცა გვაქვს! 3 თვით გავახალგაზრდავდი უცებ! (ცოტაა რომ? 40 სურათი ათი წელია!) – სიცოცხლის ელექსირი ხარ! – წერს ვახტანგ რჩეულიშვილი „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე, რომელიც მსახიობ გოგოლა კალანდაძეს მიუძღვნა.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „შემომეპატიურება, მგონი, და მერე უეჭველი მეტყვის, ქალიშვილი ვიყავიო"



ერთი თვის წინ დაწყებული შურლაია-ლომაიას დაპირისპირება გრძელდება.

– ეს ქალი იმდენს იზამს, მართლა შემომეპატიურება მგონი!.. და მერე უეჭველი მეტყვის, ქალიშვილი ვიყავიო და იმ ანეკდოტისა არ იყოს, დაასრულებს ამ სიტყვებით: „აქანა დავდგამ როიალს". იცით ეგ ანეკდოტი? – წერს ლომაია.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „მამიდა" როენა ხუცურაული მემუარებზე მუშაობს



ყველასთვის ცნობილი „მამიდა" როენა ხუცურაული მემუარებზე მუშაობს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინტერნეტპორტალი ავრცელებს. როგორც ამბობენ, წიგნში შესული იქნება ყველა ის მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც „მამიდას" ცხოვრებაში მომხდარა.

– ამ ინფორმაციას არც უარვყოფ და არც ვადასტურებ. იდეის დონეზე მქონდა საუბარი, თუმცა გადაწყვეტილი არ მაქვს, – ამბობს „მამიდა".

*primetimenews.ge*

»» მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## ყველაზე სულელური საახალწლო საჩუქრები



ახალი წლის წინა დღეებში ადამიანების უმრავლესობა იმაზე ფიქრობს, რა აჩუქოს ნათესავებსა და მეგობრებს დღესასწაულისთვის. ბევრი, ალბათ, წარმატებულ არჩევანს აკეთებს და ადრესატს გულსაც უხარებს, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც გარკვეული მიზეზების გამო, საკუთარ თავს ძალიან უხერხულ სიტუაციაში იგდებს.

სწორედ ასეთი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, შედგენილია რეიტინგი, რომელშიც ყველაზე სულელური საახალწლო საჩუქრებია დასახელებული.

მაშ ასე, რეიტინგში პირველი ადგილი „ღორის გრიპის“ სამკურნალო კომპლექტმა დაიკავა, რომელშიც შედის ღორის ფორმების მქონე საპონი და ბეკონის ფორმის პლასტირი.




მეორე ადგილზეა პირველზე გაცილებით უჩვეულო საჩუქარი, რომელიც... ძაღლის განავლის ფორმის მქონე ნაძვის ხის მოსართავი გახლავთ!

გადავინაცვლოთ რეიტინგის შემდეგ საფეხურზე – მესამე პოზიციაზეა სამაშველო ჟილეტი... გოლფის ბურთებისთვის(?!).

არანაკლებ უცნაური გახლავთ მეოთხე ადგილის მფლობელი საჩუქარი, რომელიც ზიგმუნდ ფროიდის სახის ნაკვთების მქონე ჩუსტებშია წარმოდგენილი. სხვათა შორის, საჩუქრის ანოტაციაში ნათქვამი ყოფილა, რომ, როცა მას ადამიანი იცვამს, შიშებისა და კომპლექსებისგან თავისუფლდება(?).

ახლა, წარმოიდგინეთ, ასეთი სიტუაცია – ვთქვათ, ახალი წლის დღეებში ვინმემ გაგაბრაზათ. ცუდია, არა? რა თქმა უნდა, ცუდია, თუმცა, თუკი ვინმე მეხუთე ადგილოსანი მახინჯი ქათმის თოჯინას გაჩუქებთ, მთელი ჯავრების ამოყრას მასზე შეძლებთ – ქათმისთვის კისერში წაჭერისას, ის ისეთ ხმებს გამოსცემს, თითქოს მართლა ახრჩობენო, თან ჩახლეჩილი ხმით შეწყალებასა და პატიებასაც გთხოვთ. მოკლედ, ნერვებს დაიწყნარებთ, რა.



„ბედნიერი მეექვსე“ პოზიციის მფლობელია, არ დაიჯერებთ, მაგრამ – ტუალეტის ქაღალდი, რომელიც... საუბრობს! ისე, მურტალ „პახმელიაზე“ ტუალეტში შესულს უეცრად ქაღალდი რომ დაგელაპარაკებათ, არ იფიქრებთ, „ბელაია გარიაჩკა“ დამეწყოო?! მოკლედ, ესეც დიდად სულელური საჩუქარია...

ბოლოს და ბოლოს, თუკი შესაფერის საჩუქარს ვერ აარჩევთ, ჩაიყარეთ ჯიბეში კამფეტები და როცა სტუმრად მიხვალთ, ისეთი ძალით მოიქნიეთ, ვერავინ იპოვოს. ჩაგეთვლებათ, რომ ხელცარიელი არ მიხვედით და გემრიელადაც მოილხენთ.

*factroom.ru*

## როგორ უნდა შეარჩიოთ იდეალური საჩუქარი?



ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ საჩუქრის შერჩევას საკმაოდ დიდი დაფიქრება სჭირდება, რათა თქვენი „ნავაჟკაცარით“ ვინმეს ქირქილისა და დაცინვის საბაბი არ მისცეთ და თუკი უკვე გითხარით, რა არ უნდა უყიდოთ ნათესავსა თუ მეგობარს, ახლა იმასაც გეტყვით, როგორ უნდა შეარჩიოთ ისეთი ნივთი, რომელიც ადრესატში მხოლოდ დადებით ემოციებს აღძრავს.

როგორც ირკვევა, ამერიკელმა ფსიქოლოგებმა შეისწავლეს ადამიანების მიერ გამოვლენილი რეაქცია სადღესასწაულო დღეებში მიღებულ საჩუქრებსა და სიურპრიზებზე და შეიმუშავეს საერთო წესები, როგორ უნდა მოხდეს სასურველი ნივთის შერჩევა-შეძენა.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის, რომ მიღებული საჩუქრისგან განცდილ სიამოვნებაზე არავითარ გავლენას არ ახდენს მისი ფასი. ამდენად, არ ღირს საკუთარი მოკრძალებული ფინანსური მდგომარეობის გამო ნერვიულობა. მთავარია, რომ საჩუქარი გულით შეარჩიოთ.



მეორე – ამერიკელები ამტკიცებენ, რომ საჩუქრის აღქმა პირდაპირ უკავშირდება მის გაბარიტებს. კერძოდ, ლენტით დამშვენებული დიდი და ლამაზი კოლოფი დანახვისთანავე გამოიწვევს აღფრთოვანებას და არ აქვს მნიშვნელობა, რა ზომის ნივთი იდება მის შიგთავსში.

მესამე – იდეალურ საჩუქარს უნდა ამშვენებდეს ადრესატის სახელი ან ინიციალები მაინც. ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ, წარწერა ყუთზე მაინც გააკეთოთ.

მეოთხე – ნუ შეიძენთ „უსახურ“ საჩუქარს. მაგალითად, კამფეტებს ან საკანცელარიო საქონელს.

მეხუთე – თუკი არჩევანს ტექნიკაზე შეაჩერებთ, უმჯობესია, ახლობელ ადამიანს უყიდოთ მობილური ტელეფონი, აიპოდი ან პლეერი და არა, ვთქვათ, ნივთი, რომელსაც უფრო ვრცელი საყოფაცხოვრებო დანიშნულება ექნება.

*factroom.ru*

## საახალწლო ფასდაკლება აუქციონზე გატანილ ქალიშვილობასაც შეეხო



ბევრს ახალი წელი იმის გამოც უხარია, რომ საფირმო მაღაზიებში მნიშვნელოვანი ფასდაკლებები ცხადდება და გაგიხარია, მიდის გაცხარებული აღებმიცემობა.

სხვათა შორის, არანაკლები აღებმიცემობაა გაჩაღებული ინტერნეტის დახმარებითაც, თუმცა ვირტუალურ სამყაროში იყიდება არა, მაგალითად, მოდური ფეხსაცმელები ან სვიტერები, არამედ... ქალწულობა.

ასეთი უჩვეულო ნაბიჯი უკვე ბევრმა ქალიშვილმა გადადგა და საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც მიიღო, რასაც ვერ ვიტყვით 22 წლის ამერიკელ სტუდენტზე, ნატალი დილანზე – უკვე რამდენიმე კვირაა, რაც მან საკუთარი ქალიშვილობის გაყიდვის შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე გაავრცელა, თუმცა „მყიდველი“ კი ვერაფრით იპოვა.

ჰოდა, რაკიღა მის „ტავარს“ მუშტარი არ გამოუჩნდა, სტუდენტმა საახალწლო ფასდაკლება გამოაცხადა:

– საწყისი ფასი 27 ათასი დოლარი იყო, თუმცა ახლა უკვე მზად ვარ, ნებისმიერ მსურველს 40-პროცენტიანი ფასდაკლება შევთავაზო, – ამბობს ცალტვინა ამერიკელი.

გამოუჩნდება თუ არა მყიდველი ნატალი დილანის ქალიშვილობას, აბა, საიდან უნდა ვიცოდეთ, მაგრამ ეს 40 პროცენტი რაღა იყო, ბარემ, 50-პროცენტიანი სეილი არ სჯობდა?!.

*mainfun.ru*

## ინკოგნიტო კორეელმა სანტამ ღარიბებს 62 ათასი დოლარი დაურიგა

ისე, სიკეთის გაკეთებაა მთავარი, თორემ ეცოდინებათ თუ არა კეთილისმყოფელის ზუსტი ვინაობა, წარმომავლობა და გვარიშვილობა მათ, ვინც დახმარებას იღებს, რა მნიშვნელობა აქვს?

როგორც ჩანს, სწორედ ამ პრინციპით ცხოვრობს უცნობი კორეელი მამაკაცი, რომელმაც ახალი წლის დღეებში განსაკუთრებით ღარიბ თანამემამულეებს 65 მილიონი ვონი, დაახლოებით 62 ათასი აშშ დოლარი ჩამოურიგა.

სამხრეთ კორეულ მედიაში მას უკვე შეარქვეს „საიდუმლო სანტა“, რომელიც სხვისი ოცნებების ასრულებაზე ზრუნავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა სანტა კლაუსის ფორმაში გამოწყობილი უცნობი ადამიანი კორეელ გაჭირვებულებს დახმარების ხელს უწვდის და მათ სოლიდური თანხებით აჯილდოებს.

– ანალოგიური რამ მოხდა გასულ წელსაც, თუმცა „საიდუმლო სანტას“ ვინაობა დღემდე ვერავინ დაადგინა, – წერენ კორეულ მედიაში.

სამწუხაროა, საქართველოშიც რომ არ არიან ასეთივე „საიდუმლო სანტები“, არა?!

*vesti.ru*

## როგორ უნდა გადაურჩეთ სადღესასწაულო დღეებში წონის მომატებას



სულ რამდენიმე საათში მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი 2015 წლის დადგომის აღსანიშნავად ქეიფს დაიწყებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში, ზედმეტი კილოგრამების დაგროვება მოჰყვება ხოლმე და დიდი ეჭვი გვაქვს, აღნიშნული პრობლემა არც პირადად თქვენთვის იქნება უცხო.

და თუ გაინტერესებთ, როგორ უნდა გადაურჩეთ ამ უსიამოვნებას, მაშინ, ყურადღებით გვისმინეთ:

თუკი მაგალითად, მიხვედით სტუმრად და მასპინძელმა ინდაურის ან ქათმის ნაჭერი შემოგთავაზათ, აუცილებლად მოაშორეთ მას კანი! იმიტომ, რომ ქათმის ხორცში ცხიმის რაოდენობა 5,8 გრამია, კანის გარეშე კი – 50 პროცენტით ნაკლები.

კერძში, რომელშიც ხორცი ან ცხიმია დამატებული და მოგეხსენებათ, ასეთი უამრავია, უმჯობესია, საერთოდ გვერდზე გადადოთ და თუნდაც, დაბრაწული კარტოფილი მიირთვათ – მასში ცხიმის შემცველობა სულ რაღაც 0,4 გრამია, ხოლო შემწვარი ხორცის ნაჭერი დაახლოებით 84 კილოკალორიით „დაგაჯილდოებთ“.

შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ ახალი წლის დღეებში, ფაქტობრივად, არ არსებობს ოჯახი, სადაც არ შემოგთავაზონ საცივი, ტოლმა, შემწვარი გოჭი და მოკლედ, ხორცის დაგემოვნება მაინც მოგიწევთ. ჰოდა, ასეთ შემთხვევაში, შეეცადეთ, ხორცს ბოსტნეულიც მიაყოლოთ, მაგალითად, კომბოსტო ან სტაფილო.



დიეტოლოგების განმარტებით, აღნიშნული პროდუქტები შეიცავს დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტებს, რაც ზედმეტი კალორიების „პარპაშს“ არ დაუშვებს და ამასთანავე, ჯანმრთელობაზეც ბრწყინვალე გავლენას მოახდენს.

შესაძლოა, ძალიან უცნაურადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ სტუმრად წასვლამდე უმჯობესი იქნება, საკუთარ სახლში წაიხემსოთ, რათა შიმშილის გრძნობა მოიკლათ და ნადიმზე მისული უკაცრავად და, საჭმელს არ მიასკდეთ.

სხვათა შორის, ამით ნაბახუსევისგან განთავისუფლებასაც მოახერხებთ, რადგან ხომ იცით, დაგვიანებულს მაშინვე განსხვავებულ სასმისს „დაგაჯახებენ“...

ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ და ჯანმრთელობას!

*myjane.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1-ლი იანვრის დილა:

– როგორ ხარ?

– აუ, შენ შენს თავს შეხედე, რა!..

*****

„ძვირფასო თოვლის ბაბუა! საახალწლოდ მხოლოდ ის მინდა გთხოვო, გამომიგზავნო იმ გოგოების სია, რომლებიც ცუდად იქცეოდნენ“.

*****

ახალი წლის შემდეგ „თოვლის ბებია“ თოვლის ბაბუას ეკითხება:

– თოვლის ბაბუ, წუხანდელი გახსოვს რამე? მე საერთოდ არაფერი!

– რა გითხრა, აბა? ბავშვებთან რომ მივედით, უკვე საშინლად მთვრალი იყავი, კიდევ რამდენიმე ჭიქაც დალიე და მაგიდაზე შეხტი – სტრიპტიზის ცეკვა დაიწყე...

– ჰოო... მეც არ გამიკვირდა, რატომ მქონდა ტრუსებში ამდენი კამფეტი?!

*****



საბავშვო ბაღიდან პატარა კოტე სახლში სულ დაკაწრული დაბრუნდა:

– რა გჭირს, შვილო, რა დაგემართა?

– ზეიმი გვქონდა და თოვლის ბაბუმ ნაძვის ხის გარშემო გვატარა.

– მერე?

– მერე ის, რომ ნაძვის ხე ძალიან დიდი იყო, ოთახი კი საშინლად პატარა!..

*****

და-ძმა ეზოში თოვლის ბაბუას აწყობს.

ძმა:

– მორჩა, თითქმის მზადაა. ახლა გავიქცევი და სახლიდან სტაფილოს ჩამოვიტან.

და:

– ორი აიღე – ცხვირიც გავუკეთოთ...

*****

1-ლი იანვარი:

– მოდით, დავუძახოთ მათ, ვის გარეშეც ვერც ერთი ახალი წელი ვერ ჩაივლის!

– დავუძახოთ!!!

– პოლიცია! პოლიცია!..

*****

საახალწლო სუფრასთან:

– კაცო, რატომ ხუჭავ თვალებს ყოველი ჭიქის დალევისას?

– ცოლს პირობა მივეცი, რომ სასმელს არც კი შევხედავდი!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი



1. მელა ალისა და კატა ...
2. ვენერას ხალხური სახელწ.
3. შეწერილი გადასახადი
4. წყალქვეშა ნავი, ანუ ...
5. მხატვარი ირაკლი ...
6. ვაჭრობის ღმერთი ბერძ.მით
7. თევზი ელექტრ. მუხტით
8. ნარდის სათამაშო კუბი
9. ერთგვარი ხვლიკი
10. წიწვოვანი მცენარე
11. მსახიობი ლიუდმილა ...
12. მომღერალი ... სოხაძე
13. მსახიობი მაიკლ ...
14. გულუბრყვილო ადამიანი
15. ტბა აშშ-ში
16. .... შენ გითხარიო გული მოგიკალიო
17. ღმერთების მთა ბერძ.მით
18. ერთგვარი ბორანი
19. კომპოზიტორი ... მორიკონე
20. თავის ზედა ნაწილი, თხემი
21. კომპოზიტორი არჩილ ...
22. წარწერა ფილმის ბოლო კადრზე
23. ძვირფასი ლითონი
24. მეწისქვილის წილი ფქვილიდან
25. წერილობითი კოლექტ. თხოვნა
26. მხედველობა
27. მგალობელი ფრინველი
28. შტატი აშშ-ში
29. ესპანეთის დედაქალაქი
30. ციტრუსი
31. დონ კიხოტ ...
32. პოეტი ... კალანდაძე
33. მომღერალი ... ქერი
34. აღდგენა, ანუ ...
35. თევზის ჯიში
36. კურორტი თბილისთან
37. ნაბიჯი ბალეტში
38. ქალის პირბადე აღმ. ქვეყნებში
39. ავადმყოფობისთვის დამახასიათ. ნიშნები
40. მისი დედაქალაქია თეირანი
41. თბილისის უბანი
42. შანთით დადებული ნიშანი
43. ერთიანი ნარდში
44. „მატრიცა" ჰაკერი
45. უანგარო შრომა
46. მარჯვე, ეფექტური ილეთი
47. შებოლილი ხორცი
48. დაწესებულების ავეჯი
49. რეაქცია ყვავილის მტვერზე
50. ქოქოსის ხე
51. მწუხარე სახის ...
52. ბოსტნეული
53. ლოყაზე დატოვებული თმა
54. ცეცხლსასროლი იარაღი
55. ფულის ერთეული ჰოლანდიაში
56. თბილისის უბანი
57. მხატვარი კამილ ...
58. მიმართვა ამერიკელი ქალისადმი
59. მათემატიკური უცნობი
60. სამიანი ნარდში
61. ქალაქი საფრანგეთში
62. კილოგრამის მეათასედი
63. რუსი კომპოზიტორი
64. მხ/ფ „უცხო" სიგურნი უივერი
65. ბუდისტი მღვდელი ...-ლამა
66. პორტი საფრანგეთში
67. „.... პიტკინი მტრის ზურგში"
68. მევინეობის ღმერთი ბერძ.მით.
69. ესკიმოსების ნავი
70. სირიის დედაქალაქი
71. მსახიობი ლეონარდო დი ...
72. მსახიობი ... სტრიპი
73. კათოლიკე მღვდელი
74. იაკობ გოგებაშვილის სოფელი
75. ცხენის ნაშიერი
76. ზღვარი
77. კავშირებითი სიტყვა
78. რომენ როლანი. „.... ბრუნიონი"
79. დრამატურგი ჰენრიკ ...
80. ძველი სქელი წიგნი
81. ზღვის მიკროორგანიზმები
82. ფალიაშვილის ოპერა
83. მხატვარი დიეგო ...
84. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
85. იოჰან ... ბახი
86. ქალი, ანუ ...
87. მომღერალი ბათუ ...
88. დახლართული კორიდორი
89. სახელოს ფასონი
90. მონების შეძახილი თეატრში
91. მთათა სისტემა ევროპაში
92. ხეობა შიდა ქართლში
93. კაკლის გულის ნახევარი
94. რეჟისორი ეტორე ...
95. საკონდიტრო სანელებელი
96. ქალაქი შვეიცარიაში
97. იაზონის გემი
98. მწერალი ვასილ ...
99. ჭერის პარალელური სიბრტყე
100. მიწისქვეშეთი, ანუ ...
100. დანაშაულის ჩადენისას სხვაგან ყოფნა
101. ბულგარული ფულის ერთეული
102. მფრინავი
103. ინერტული აირი
104. ჩეხური ავტომობილი
105. მხატვარი ... ოქროპირიძე
106. მსახიობი კლინტ ...
107. შენი ხმალი და ჩემი ...
108. შექსპირის ლექსების სტილი
109. დახვეული ნამხცვარი
111. რეჟისორი ... ჩოხელი
112. ჯიხვების ჯოგი
113. დიზაინერი ... ცქვიტინიძე
114. კუნძული პარიზში
115. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
116. შიშველი სხეული მხატვრობაში
117. ცივი იარაღი
118. ძვ. თბილისური მიმართვა
119. ქიმიური ელემენტი
120. ჭრილი ბილიარდის მაგიდაში
121. მტაცებელი ფრინველი
122. მათემატიკური უცნობი
123. თეატრალ. ხელოვნებ. ჟანრი
124. მსახიობი ... როკი
125. მსახიობი ... ბესინჯერი
126. რეჟისორი ალფონსო ...
127. ბილიარდის ჯოხი
128. ... არაბეთს როსტევან
129. დარტყმით ამობურცული ადგილი
130. ვიოლინოების ხელოსანთა ოჯახი
131. მდინარე კახეთში
132. მსახიობი ... თურმანი
133. სატელეგრაფო ანბანის ავტორი
134. სისხლისმწოველი მწერი
135. ბზრიალა
136. ერნესტო ... გევარა
137. მსახიობი ... გიბსონი
138. გემით დიდი მოგზაურობა
139. გერმანიის „რკინის" კანცლერი ოტო ფონ ...
140. კუნძული ინდონეზიაში
141. საბაჟო აჭარაში

პასუხები: 1. ბაზილიო; 2. ხარიპარია; 3. ბეგარა; 4. სუბმარინა; 5. ოჩიაური; 6. ჰერმესი; 7. სკატი; 8. კამათელი; 9. გეკონი; 10. ნაძვი; 11. გურჩენკო; 12. ირმა; 13. იორკი; 14. მიამიტი; 15. მიჩიგანი; 16. ჩემი; 17. ოლიმპო; 18. რორო; 19. ენიო; 20. კვინიხი; 21. ჩიმაკაძე; 22. დასასრული; 23. ოქრო; 24. მინდი; 25. პეტიცია; 26. ჩინი; 27. მოლაღური; 28. ალაბამა; 29. მადრიდი; 30. მანდარინი; 31. ლამანჩელი; 32. ანა; 33. მერაია; 34. რეგენერაცია; 35. სარდინი; 36. კოჯორი; 37. პა; 38. ჩადრი; 39. სინდრომი; 40. ირანი; 41. ხარფუხი; 42. დაღი; 43. იაქე; 44. ნეო; 45. ამაგი; 46. ტრიუკი; 47. ლორი; 48. ინვენტარი; 49. ალერგია; 50. პალმა; 51. რაინდი; 52. ბადრიჯანი; 53. ბაკენბარდი; 54. პისტოლეტი; 55. გულდენი; 56. ვაკე; 57. კორო; 58. მემ; 59. იგრეკი; 60. სე; 61. ლიონი; 62. გრამი; 63. სკრიაბინი; 64. რიპლი; 65. დალაი; 66. მარსელი; 67. მისტერ; 68. დიონისე; 69. კაიაკი; 70. დამასკო; 71. კაპრიო; 72. მერილ; 73. აბატი; 74. ვარიანი; 75. კვიცი; 76. მიჯნა; 77. რომ; 78. კოლა; 79. იბსენი; 80. ფოლიანტი; 81. პლანქტონი; 82. „დაისი"; 83. ველასკესი; 84. სალიერი; 85. სებასტიან; 86. დიაცი; 87. კრავეიშვილი; 88. ლაბირინთი; 89. რეგლანი; 90. ბის; 91. ალპები; 92. რკონი; 93. ლებანი; 94. სკოლა; 95. ვანილი; 96. ლოკარნო; 97. „არგო"; 98. ბარნოვი; 99. იატაკი; 100. ქვესკნელი; 101. ლევი; 102. პილოტი; 103. არგონი; 104. „ტატრა"; 105. ნელი; 106. ისტვუდი; 107. კისერი; 108. სონეტი; 109. რულეტი; 110. ალიბი; 111. გოდერძი; 112. არვე; 113. ავთანდილ; 114. სიტე; 115. სან; 116. ნიუ; 117. ხმალი; 118. ტო; 119. აზოტი; 120. ლუზა; 121. ორბი; 122. იქსი; 123. ოპერა; 124. კრის; 125. კიმ; 126. არაუ; 127. კიი; 128. იყო; 129. კოპი; 130. ამატი; 131. იორი; 132. უმა; 133. მორზე; 134. კოღო; 135. ჩიკორი; 136. ჩე; 137. მელ; 138. კრუიზი; 139. ბისმარკი; 140. იავა; 141. სარფი. იკითხება: ნანული სარაჯიშვილი.

# სკანვორდი



1. სოფელი დუშეთის რაიონში
2. მყიდველი, ანუ ...
3. უძველესი ქართ. ხალხური ცეკვა
4. ფანდი, ოინი
5. ქიმიური ელემენტი
6. სირიის დედაქალაქი
7. მან აღორძინა ოლიმპ. თამაშები
8. აპატიეს ... მოუმატა კბენასა
9. მთაგრეხილი
10. კუდმაკრატელა ფრინველი
11. ზიგზაგებიანი ხაზი
12. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
13. მოწაფის მაგიდა
14. მხატვარი დიეგო ...
15. კბილის დამცავი ფენა
16. შვედური საესტრადო ანსამბლი
17. ზუსტი მიბაძვა
18. ბრედ პიტი ფილმში
19. მამა ... ბატკანი
20. როცა გშია ზაქარია – მაძღარიც ზაქარია
21. მსახიობი ... ტაილერი
22. მსახიობი ჟანა ...
23. ... ხაჩატურიანი
24. ... ფონ ბისმარკი
25. ქალის პატარა ხელჩანთა
26. თბილისის უბანი
27. სასწავლო დაწესებულება
28. რობინზონ კრუზოს მეგობარი
29. ტყის მხალი
30. ვენახი, ანუ ...
31. რეჟისორი რობიკო ...
32. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
33. ირლანდიელების წმინდანი
34. ფორმანის ფილმი მოცარტზე
35. „სოლომონ ... მეჯღანუაშვილი“
36. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
37. ღვინო პოეტურად
38. მომღერალი ... მარტინი
39. პოეტი ... შევჩენკო
40. მომღერალი ვიქტორ ...
41. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
42. დასვენების, ანუ ... ზონა
43. მსახიობი ... გიბსონი
44. მექსიკური არაყი
45. მსახიობი ... საკანდელიძე
46. რას აგროვებს ფილატელისტი
47. იაპონური ჭიდაობა
48. მსახიობი ... მიფუნე
49. ფრანგი მხატვარი
50. ... არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი
51. საათის ფირფიტა ციფრებით
52. ბიბლიური მთა
53. ... მურომეცი
54. ბირმის დღევანდ. სახელწოდება
55. ყურძნის შაქარი
56. ქალაქი პაკისტანში
57. ქალაქი ეგვიპტეში
58. ცეკვა, ანუ ...
59. გამოძიების ერთ-ერთი გზა
60. ქალაქის ელექტროტრანსპორტი
61. გიგანტური ტალღა
62. ვერნი. „საიდუმლო ...“
63. მსახიობი ... რივზი
64. ... ძედუნი
65. ირანში: აიათოლა ...
66. ნაგვის ყუთი
67. მსახიობი ედრიან ...
68. მხ/ფ „... სახლში“
69. მოდელი ... კროუფორდი
70. მამაკაცის სამოსის აქსესუარი
71. ბუდისტური ტაძარი
72. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
73. ზურიკელას ძაღლი
74. მღრღნელი ცხოველი
75. ჩაით გაშენებული ადგილი
76. ექს-პრეზიდენტი ბილ ...
77. ორსახა ღმერთი
78. სულების გამოძახება
79. თეთრი რეპერი
80. ვულკანი სიცილიაზე
81. ვირუსული დაავადება
82. „მატრიცა“ წინასწარმეტყველი
83. ნილოსის რეპტილია
84. სოკრატეს ანჩხლი ცოლი
85. ბაშკირეთის დედაქალაქი
86. მსახიობი ... არდანი
87. „მამლუქი“ ... და გოჩა
88. პერუს დედაქალაქი
89. მსახიობი ... კლოუზი
90. სამკურნალო მცენარე
91. მოგზაურობა გემით
92. დონ კიხოტის ცხენი
93. დიდი ნემსი
94. დადებითი ელექტროდი
95. არქიტექტურული სტილი შუა საუკუნეების ევროპაში
96. უძრავი ქონების შესყიდვ. ფორმა
97. ყვავილი
98. მსახიობი ჩარლი ...
99. ქვეყნიერების გადამრჩენი
100. კომპიუტერის ეკრანი
101. მხატვარი ... თოიძე
102. ყველაზე მაღალი მწვერვალი
103. მსახიობი ... ფორდი
104. ტროას ბერძნული სახელწოდება
105. განგსტერული დაჯგუფება
106. ავტოსაგზაო შემთხვევა
107. ისლანდიის დედაქალაქი
108. იტალიური მაკარონი
109. ლუდის მასალა
110. ზღვის კომბოსტო
111. ჰუნების ბელადი
112. უძველესი ასურეთის დედაქალაქი
113. უჯრედშორისი სითხე
114. მომღერალი ... პიეხა
115. ინერტული აირი
116. ნიშნავს ახალს
117. „მორცხვი“ ყვავილი
118. წნევის საზომი ხელსაწყო
119. მსახიობი ... ბერნარი
120. ჯუჯა კამეჩი
121. მსახიობი ... ჰოუკი
122. ოთხიანი ნარდში
123. ... მოგივა დავითაო
124. მომღერალი ... სოხაძე
125. ხერ-ხემლის ძვალი
126. არაკი
127. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
128. ... შიგნიდან ტყდებაო
129. მსახიობი ... ჰეივორტი
130. დაბადების მოწმობა
131. ქიმიური აღმომჩენი
132. კედლის სანგრევი იარაღი
133. დღე ხვალის შემდეგ
134. ... ფარულავა ფილმში „სიყვარული ვენაში“
135. რიცხვი 3,14
136. ურჩხული ჩინურ ზღაპრებში
137. მომღერალი ლედი ...
138. ქედი საქართველოში

პასუხები: 1. ბულაჩაური; 2. კლიენტი; 3. ფერხული; 4. ხრიკი; 5. ირიდიუმი; 6. დამასკო; 7. კუბერტენი; 8. მელასა; 9. უღელტეხილი; 10. მერცხალი; 11. ტეხილი; 12. არამეული; 13. მერხი; 14. ველასკესი; 15. ემალი; 16. „აბბა“; 17. იმიტაცია; 18. „ტროა“; 19. აბრაამის; 20. ცივი; 21. ლივ; 22. მორო; 23. არამ; 24. ოტო; 25. რედიკიული; 26. ვაზისუბანი; 27. სკოლა; 28. პარასკევა; 29. პანტა; 30. ზვარი; 31. სტურუა; 32. ონისე; 33. პატრიკი; 34. „ამადეუსი“; 35. ისაკიჩ; 36. სპიდომეტრი; 37. ნუნუა; 38. რიკი; 39. ტარას; 40. ცოი; 41. მაკ; 42. რეკრიაციული; 43. მელ; 44. ტეკილა; 45. კარლო; 46. მარკა; 47. სუმო; 48. ტოსირო; 49. სიორა; 50. სადაც; 51. ციფერბლატი; 52. არარატი; 53. ილია; 54. მიანმა; 55. გლუკოზა; 56. კარაჩი; 57. სუეცი; 58. როკვა; 59. ვერსია; 60. ტროლეიბუსი; 61. ცუნამი; 62. კუნძული; 63. კიანუ; 64. მაო; 65. ჰომეინი; 66. ურნა; 67. ბროუდი; 68. მარტო; 69. სინდი; 70. ჰალსტუხი; 71. დაცანი; 72. ელიბო; 73. მურადა; 74. თახვი; 75. პლანტაცია; 76. კლინტონი; 78. სპირიტიზმი; 79. ემინემი; 80. ეტნა; 81. გრიპი; 82. პითია; 83. ნიანგი; 84. ქსანთიპე; 85. უფა; 86. ფანი; 87. ხვიჩა; 88. ლიმა; 89. გლენ; 90. სალბი; 91. კრუიზი; 92. როსინანტი; 93. მახათი; 94. ანოდი; 95. გოტიკა; 96. გირაო; 97. ვარდი; 98. ჩაპლინი; 99. მესია; 100. მონიტორი; 101. მოსე; 102. ევერესტი; 103. ჰარისონ; 104. ილიონი; 105. მაფია; 106. ავარია; 107. რეიკიავიკი; 108. სპაგეტი; 109. ალაო; 110. ლამინარია; 111. ატილა; 112. ნინევია; 113. ლიმფა; 114. ედიტა; 115. არგონი; 116. ნეო; 117. მიმოზა; 118. ანეროიდი; 119. სარა; 120. ანოა; 121. იტან; 122. ჩარი; 123. რაც; 124. ირმა; 125. მალა; 126. იგავი; 127. ომეგა; 128. ციხე; 129. რიტა; 130. მეტრიკა; 131. ინდიკატორი; 132. ტარანი; 133. ზეგ; 134. ია; 135. პი; 136. დრაკონი; 137. გაგა; 139. ლიხი. იკითხება: ჩვენ უკვე მოვდივართ.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## სტუდენტებმა იდეალური საახალწლო ნაძვის ხის ფორმულა გამოიყვანეს



სამყაროში იმდენად ბევრი რამ გვხვდება, რაც იდეალურისგან კატასტროფულად შორს არის, დათვლა რომ დავიწყოთ, შეიძლება დარჩენილი სიცოცხლეც კი არ გვეყოს. საბედნიეროდ, ამ უზარმაზარ ჩამონათვალს საახალწლო ნაძვის ხე გამოაკლდა – მისი იდეალურობის ფორმულა შეფილდის უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოიყვანეს, რომლებსაც აშკარად ბლომად თავისუფალი დრო ჰქონიათ.

ახალგაზრდებმა ზედმიწევნით ზუსტად შეისწავლეს სხვადასხვა ნიუანსი, რომელიც საახალწლო ნაძვის ხის შეძენა-გაფორმებას ეხება და შედეგად, გარკვეული დასკვნებიც გამოიტანეს.

სტუდენტების გათვლებით, იდეალური საახალწლო ნაძვის ხე მორთული უნდა იყოს 37 ბურთულით. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა დაედგას თავში სათამაშო ვარსკვლავის ან ანგელოზის სახით, რომლის ზომაც ნაძვის ხის საერთო სიმაღლის ერთ მეათედს არ უნდა აჭარბებდეს. ამასთანავე, კვლევის ავტორების აზრით, „წვიმების" ოპტიმალური სიგრძე 920 სანტიმეტრი უნდა იყოს. რაც შეეხება განათებას, მისი იდეალური სიგრძის დასაანგარიშებლად საჭიროა ნაძვის ხის სიმაღლის სანტიმეტრების გამრავლება 3,14-ზე. მაგალითად, თუკი ნაძვის ხის სიმაღლე 183 სანტიმეტრია, გირლიანდის სიგრძე 574 სანტიმეტრი უნდა იყოს.

თუკი გეზარებათ ამდენი მათემატიკა, ისევ ძველებურად მორთეთ ნაძვის ხე, ამის გამო არავინ გაგიბრაზდებათ, სიტყვას გაძლევთ!..

***mainfun.ru***

## ფაქტები არაყზე...



– არაყი ყველაზე სუფთა ალკოჰოლური სასმელია. მასში ყველაზე მცირე რაოდენობით გვხვდება რახის ზეთები, ვიდრე სხვა სასმელში.

– 1 ლიტრი არყის წონა 953 გრამია.

– ყველაზე კარგად, არყის გემოს გაგება მაშინ შეიძლება, როცა სასმელის ტემპერატურა ცელსიუსით 8-10 გრადუსია.

– იმისთვის, რათა ფალსიფიცირებული არაყი შენიღბონ, ბარებში ბოთლებს ხშირად ზედმეტად აცივებენ, რათა სასმელის გემო კლიენტმა ვერ იგრძნოს.

– რუსეთის იმპერატორი ეკატერინა I არაყს უმაღლესი ფენების წარმომადგენლების სასმელს უწოდებდა.

– მე-19 საუკუნის რუსეთში არაყი მხოლოდ 12-ლიტრიანი ჭურჭლით იყიდებოდა.

– მოსაზრება, თითქოს, არაყი არ ფუჭდება, მცდარია. სინამდვილეში ამ ალკოჰოლური სასმელის შენახვის ვადა 1 წელია.

– არყის 40 პროცენტი სპირტია, 60 პროცენტი კი – წყალი.

– კლასიკური არაყი ხორბლისგან მზადდება.

– 100 გრამი არაყი 235 კილოკალორიას შეიცავს.

– ლუდისგან განსხვავებით, არ არსებობს უალკოჰოლო არაყი.

– მსოფლიოში არყის რამდენიმე მუზეუმია.

– 50 გრამი არაყი მიღებიდან ნახევარ საათში გონებრივ შესაძლებლობებს ამაღლებს.

– სწორედ არაყი ხდება ყველაზე ხშირად და ყველაზე ადვილად ადამიანის გალოთების მიზეზი.

– საშუალო სტატისტიკური ადამიანისთვის სასიკვდილო დოზაა სწრაფად დალეული 1 ლიტრი არაყი, ან 4 ლიტრი ღვინო, ან კიდევ, 1 ვედრო ლუდი.

***ermak.su***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**30 დეკემბერი:** ფრთხილად იყავით. შეეცადეთ, გაწონასწორებული იყოთ, თორემ გაუაზრებელ ქმედებებზე პასუხისგება მოგიწევთ.

**კურო 22.04-21.05**

**30 დეკემბერი:** ინფორმაციის მიღებასა და გადამუშავებას დროულად შეძლებთ და სათანადო დასკვნებსაც გააკეთებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**30 დეკემბერი:** საკმაოდ იმუშავეთ, დროა დაისვენოთ. თუკი ამის საშუალება არ გაქვთ, იმდენი მაინც მოახერხეთ, რომ ტემპი შეანელოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**30 დეკემბერი:** შეეცადეთ, თქვენს მიმართ ნათქვამი სიტყვები უარყოფით კონტექსტში არ მიიღოთ. თუ არ გსურთ ყველაზე და ყველაფერზე განაწყენდეთ, კონტაქტები მაქსიმალურად შეზღუდეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**30 დეკემბერი:** რა საქმეც არ უნდა აკეთოთ, ყველაფერი იღონეთ, რომ ბოლომდე მიიყვანოთ. დაუსრულებელი საქმეები დიდ პრობლემებს შეგიქმნით.

**ქალწული 23.08-22.09**

**30 დეკემბერი:** თქვენი ბედნიერება თქვენსავე სიახლოვესაა და მის საძებრად შორს წასვლა არ მოგიწევთ. კარგად მიმოიხედეთ და ადვილად იპოვით.

**სასწორი 23.09-22.10**

**30 დეკემბერი:** სასურველია, გარეშე პირთა რჩევებს ნაკლები ყურადღება მიაქციოთ, რადგან ისინი ჭეშმარიტებისგან შორს იქნება.

**მორიელი 23.10-21.11**

**30 დეკემბერი:** შეეცადეთ, განმარტოვდეთ. სიმშვიდეში თქვენ გაიაზრებთ და გაითვალისწინებთ ყველა მნიშვნელოვან დეტალს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**30 დეკემბერი:** ზუსტად უნდა იცოდეთ, ვისი იგნორირება მოახდინოთ და როდის ჩამოსცილდეთ მიმდინარე პროცესებს. აკურატულობა მოსალოდნელ კონფლიქტსაც აგაცილებთ თავიდან.

**თხის რქა 22.12-19.01**

**30 დეკემბერი:** შეეცადეთ, ყურადღებით იყოთ და სიტუაციას მანამდე გაერიდეთ, სანამ ოჯახის წევრები სულიერ ტკივილს მოგაყენებენ.

**მერწყული 20.01-18.02**

**30 დეკემბერი:** შესაძლოა, დღეს სილამაზის აღქმა გაგიჭირდეთ და მოვლენების მნიშვნელოვანი დეტალებიც ვერ შეამჩნიოთ. ყურადღება არ გაწყენდათ.

**თევზები 19.02-20.03**

**30 დეკემბერი:** შეიძლება ჩათვალოთ, რომ რაღაც საქმე დაასრულეთ. სინამდვილეში ეს ამ საქმის გარდამავალი ეტაპი იქნება. ახალი პერსპექტივები გამოგიჩნდებათ.

## უგემრიელესი საშობაო სადილი ლონდონელი შეფ-მზარეულებისგან 200 ათას დოლარად



წარმოიდგინეთ, 200 ათას 450 აშშ დოლარად რამდენი გოჭის, ინდაურის, ქათმის, ტოლმის, ოლივიეს, ისპანახის, ლიმონათის შეწვა-მოხარშვა-შეკმაზვა-გახსნა-დალევაა შესაძლებელი?!

ჰოდა, თუკი გაქვთ ზედმეტი 200 ათას 450 აშშ დოლარი და მოგბეზრდათ ტრადიციული კერძები, სწორედ თქვენთვის გაუსვრია ავრორას – ლონდონელი მზარეულები მსურველებს ოთხ პერსონაზე გათვლილ ოთხი კერძისგან შემდგარ სადილს სთავაზობენ, შემოსულ თანხას კი ქველმოქმედებაზე დახარჯავენ.

რასაკვირველია, ადამიანები, რომლებიც ამხელა თანხას გადაიხდიან, წარმოუდგენლად იშვიათ პროდუქტებს დააგემოვნებენ. კერძოდ, 200 ათას 450 აშშ დოლარიან მენიუში შედის ალმასის ხიზილალა, რომელიც უიშვიათესი ალბინოსი სვიისგან (თევზი ზუთხისებრთა ოჯახიდან) მოიპოვება. ხიზილალა დამუშავებულია 150-წლიანი ძმრით. მთავარი კერძი შედგება იაპონური ჯიშის ძროხა ვაგიუს ფილესგან და გულისგან, რომელზეც მოყრილია აკბარის ფსტა („ფისტაშკა") და 50 კარატი ოქრო. ტკბილ კერძად შერჩეულია შესანიშნავი დესერტი, რომელიც შედგება ელიტარული მარკის კოპი ლუვაკის ყავისგან ნაღებთან ერთად და იშვიათი ჯიშის საზამთროსგან, სახელწოდებით დენსუკე. რასაკვირველია, ასეთი პომპეზური სადილი ვერ დარჩება ექსკლუზიური ალკოჰოლის გარეშე: ამ როლს შამპანური ასრულებს, რომელიც საკუთარ „ვარსკვლავურ საათს" ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უცდის...

მოიცათ, კაცო! ნეტა ერთი, ამ ლონდონელებს!.. მიდით, ტოლმა გადააწოდეთ თანამესუფრეს, ვერ წვდება... ლიმონათი ჩამოუსხით 50-თეთრიან ჭიქაში და დიასახლისს უთხარით, სუფრას პური აკლია და ბარემ, რადგან სამზარეულოში უნდა შევიდეს, თეფშებზე ხარაგაულის უგემრიელესი ნიგვზით შეკმაზული ბადრიჯანი დაამატოს. ალკოჰოლის როლს კი გადასარევი კახური რქაწითელიც შეასრულებს!..

***drunov.ru***

## ყოველწლიურად ნორვეგია ინგლისს ნაძვის ხეს ჩუქნის



განა, როგორი გაჭირვებულია დიდი ბრიტანეთი, რომ ასეთ საჩუქარს იღებს ან რატომ არის ნორვეგია ასეთი ხელმომჭირნე, რომ მეგობარ სახელმწიფოს მხოლოდ ასეთ მცირე საჩუქარს უძღვნის?

სინამდვილეში, ეს არის გულის გამთბობი ტრადიცია, რომელიც ათეულობით წლებია, არავის დავიწყებია. კერძოდ, მეორე მსოფლიო ომში გაწეული დახმარებისთვის მადლიერების გამოსახატად ნორვეგიელები ლონდონში ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, 50-60-წლიან ნაძვს გზავნიან. ნაძვის ხე ნორვეგიიდან დიდ ბრიტანეთში გემით ჩააქვთ. ის წინასწარ ირთვება ტრადიციულ ნორვეგიულ სტილში და 500-მდე მანათობელი ბურთით. შემდეგ ნორვეგიული ნაძვის ხე ლონდონის ცენტრში იდგება, რათა ადგილობრივებმა და ქალაქის სტუმრებმა მას ყველაზე სანუკვარი სურვილი ჩაუთქვან...

***gazeta.ua***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– ჩემს ცოლს საახალწლო საჩუქარი ნაძვის ხის ქვეშ დავუდე.
– რაო მერე, მოეწონა?
– არ ვიცი, ჯერ ისევ ეძებს – ხომ იცი, ბაკურიანი რამხელაა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 06.10